რი. ხელნაწერის ზომაა: 26 × 21 სმ., სვეტის ზომაა 21 × 6,7. სმ. ტექსტი ნაწერია ერთი  
ხელით მრგოლწრივად.

ხელნაწერზე დარჩენილი ანდერძებიდან ჩანს, რომ დამკვეთი ანუ მომგებელი ვინმე  
გრიგოლი, გადაწერის-კი—ვინმე გაბრიელ მღვდელი: „...ღირს ვიქმენ მე, გროგოლ, დაწე-  
რად წმიდა ესე სახარებად ჯეღელისა გაბრიელ მღვდლისა ნარჩევისადათ...“ გადაწერის  
აღვლით ანდერძისავე თანახმად შატბერდია: „დაიწერა წმიდად ესე სახარებად შატბერდს  
ჯელითა უცბად მხარეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწევითა და მოლუაწებითა გაბრი-  
ელისითა და გეორგისითა“. იქვე დაწერის თარიღიცაა აღნიშნული: „დასაბამითან წელ-  
ნი იყვენს ზფშ, ქრონიკონი იყო რნგ“, რაც იძლევა 936 წ. (6+40—5604=780+156).

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი მათეს სახარებიდანაა, სახელდობრ 25,8-16.  
იგი აღებულია უშუალოდ ხელნაწერიდან.

ეს ხელნაწერი წინარესთან (აღნიშნ ოთხთავთან) ერთად გამოსცა პირველად აკაკი შანიძემ (იხ. ზე-  
მორე დასახელებული შრომა).

#### ტაბ. 10 (H 2123).—ქილ-ეტრატის იადგარი.

ასეთ სახელს ატარებს ის იადგარი (საგალობელთა კრებულები), რომელიც ნაწილო-  
ბრიე პაპირუსზე (ქილზე) და ნაწილობრივ ეტრატზეა ნაწერი. ხელნაწერი პალესტინური  
წარმოშობისა უნდა იყოს. იქიდან (საბას ლავრიდან) არის იგი გამოტანილი პ. უსკენსკის  
მიერ XIX ს.-ის 50-იან წლებში. ერთ ხანს ლენინგრადში იყო დაცული, ამჟამად კი სა-  
ქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება: H 2123.

ხელნაწერი 313 ფურცლისაგან შედგება. აკინძულია 3 წიგნად (ფფ. 119+100+94).  
ნაწერია ცალ სვეტად ეტრატსა და ქილზე (პაპირუსზე) ასომთავრულით. სათაურები და  
ზოგიერთი ასოები წითლად არის ნაწერი. ხელნაწერის ზომაა: 11,1 × 9,7 სმ., ხოლო ნა-  
წერისა: 9 × 7,2 სმ. მომგებელი, გადაწერილი, დაწერის ადგილი და დრო უცნობია. ხელის

<sup>1</sup> ჯ რ უ ქ ი ზემო იმერეთშია, სანხტის რაიონში.

მიხედვით ის გადაწერილი უნდა იყოს X ს.-ში. დაწერის ადგილად შესაძლებელია პალესტინა ვივარაუდოთ, რადგან კილი, როგორც საწერი მასალა, იქ უფრო იყო ხმარებაში. ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი აღებულია იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „იღ სედემბერსა ჯ'რთა აპკრობა...“ (245 წ.).

ხელნაწერის დაწერილობით აღწერილობა ნოვაკოვა აკად. კ. კეკელიძეს წიგნში: *Литургическо-гръцкиские памятники в отечественных рукописях и их научное значение*, თბ., 1908, გვ. 350-372.

**ტაბ. 11 (A 1109).—უდაბნოს მრავალთავი.**

ასე იწოდება ის მრავალთავი, რომელიც დაცული იყო გურიაში, უდაბნოდ წოდებულ საიანეში, საიდანაც ის 1920 წელს მოიტანა ა. შანიძემ. ამჟამად ეს ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. წარმომავლობით მრავალთავი კლარჯული უნდა იყოს; შატბერდიდან გამოტანილად ვივარაუდობს მას ე. თაყაიშვილი (არქეოლ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში, გვ. 309).

ხელნაწერი სრულად არ არის შემონახული, მას საკმაოდ აკლია როგორც თავსა და ბოლოს, ისე შიგნითაც. ამჟამად ის 179 ფურცლისაგან შედგება. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად, ძირითადად მრგოლოვანი ხელით. ხელნაწერის ზომაა 35×30 სმ., ცალი სვეტისა კი—26×9,5 სმ.

მომგებელი, ვადაწერი, დაწერის ადგილი და დრო უცნობია. ხელის მიხედვით ხელნაწერი X ს. ეკუთვნის.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ეკუთვნის იმ თავს, რომელიც სათაურად ატარებს: *ამეორც თქუშული ოქროპირისაჲ დღისათჳს ამაღლებისა უფლისა ჩუენისა (ჰამას დღესა შინა იხარებედ ცანი...)*.

**ტაბ. 12 (A 1453).—პარხლის ოთხთავი.**

ასე იწოდება ის ერთ-ერთი ძველი რედაქციის ოთხთავი, რომელიც კლარჯეთში, შატბერდს, არის გადაწერილი, მაგრამ მერმე ტაოში პარხლისათვის შეუწირავთ.

ხელნაწერი შესრულებულია მრგოლოვანი ხელით მშვენიერად დამუშავებულ ეტრატზე. ნაწერია ორ სვეტად. ზომა ხელნაწერისა: 23×20,5 სმ., ნაწერისა—18×6,2 (სვეტისა). მელანი შავია, ინიციალებაც უმეტესად შავად არის ნაწერი, მაგრამ ზოგჯერ წითურადაც.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი, კუთხოვანად. ვადაწერი ამბობს, რომ „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა... სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს ღმრთივ აღდებულისა ზაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა-ერისთვისა და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათჳს... დაიწერა დასაბამითგანთა წელთა ზ'ფ'ოზ', ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქეული რ'ფგ'. მაშასადამე, ხელნაწერი ვადაწერია იოანე-ბერას 973 წელს. მომგებელი არსადაა დასახელებული. ხელნაწერს მეორე ანდერძიც გააჩნია, საიდანაც ვიცობთ ხელნაწერის დაწერისა და შეწირვის ადგილს: *მე ივანე ბერამან, ნწერაღმან შატბერდელმან, შატბერდს დაეწერე და პარხალს შეეწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა“-ო.*

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ლუკას სახარების დასაწყისია 1, 1—7.

ტაბულაზე, მარცხენა და მარჯვენა კიდებზე სათვალავია მუხლებისა, მაგრამ მუხლებად დაყოფა და სათვალავების აღნუსხვა იოანე-ბერას კი არაა, არამედ გვიანდელი ხანის (XVIII ს.), მიკნაბრის, ნიკოლოზ შთავარდაკნისა.

ხელნაწერის დაწერილობით აღწერილობა იხ. ა. შანიძესთან,—ქართული ოთხთავის ორი მტკლი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945 წ., გვ. 032—039.

**ტაბ. 18 და 14 (S 1141).—შატბერდის მრავალთავი.**

ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა თარგმნით და ორიგინალურ თხზულებათაგან შედგება, კრებულს ანუ მრავალთავს წარმოადგენს. იწოდება ასეთი სახელწოდებით იმის გა-

მო, რომ ის დაწერილია შატბერდს, კლარჯეთის განთქმულ მონასტერში, რომლის ამე-  
ნება დაკავშირებულია IX ს.-ის ცნობილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის  
სახელთან.

ხელნაწერი შესრულებულია კარგ ეტრატზე მრგვლოვანი (1—255 გვ.) და კუთხოვანი  
(256—588 გვ.) ხელით. ნაწერია ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 29×23 სმ., სვეტისა კი —  
23×7,8 სმ.; მელანი შავია, ინიციალები და თავების სათაურები წითურად არის ნაწერი.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი, რომელსაც სრულად არ მოუღწევია. აქ გადამწე-  
რი აცხადებს: „შეუდგე კეთილსა გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩვევის ყო-  
ველთა მოწყესთაჲ, იოვანე ბერია და გავასრულე წმიდაჲ ესე წიგნი... მილუაწებითა [და  
თანადგომითა] დედისა ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა. და ვითისითა... და შევ-  
წირე შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთის მშობლისასა, რომელსაცა შინა აღ[ვიზა]რდგი,  
სალოცველად... მეფეთა ჩუენისა] ბაგრატ მეფისა და ყოველთა შეილთა მათთათჳს...“ ამ-  
რიგად, ამ ხელნაწერის გადამწერი ყოფილა იოვანე-ბერია (პარხლის ოთხთავის დამწერი-  
ვე, იხ. ზემოთ, ტაბ. 12), აღზრდილი შატბერდის მონასტერში. დრო ხელნაწერის და-  
წერისა არ ჩანს (ანდერძის ნაწილის მოუღწევლობის გამო), მაგრამ უნდა ვიფიქროთ,  
რომ ის პარხლის ოთხთავის დაწერის ახლო ხანს უნდა შესრულებიოს იოვანე-ბერის,  
ე. ი. 973—976 წწ.-ში.

ტაბულებზე წარმოდგენილი ტექსტი ეკუთვნის იმ თავს, რომელიც სათაურად ატარებს:  
„ეპიტაფაჲ კვარელისა თქუშული. ეპიტაფაჲ ეპისკოპოსი კონსტანტია ქალაქისაჲ, რომელ არს  
დედა ქალაქთაჲ კვაროს ქალაქისაჲ, რომელ თქუა ათორმეტთა მათ თუალთათჳს“.

ხელნაწერის დაწერილობითი აღწერა ეკუთვნის: 1. ნ. მარს, Ипполит, Толкование Псалма пес-  
не 111, русинский текст по рукописи X в.; Тексты и разсказы по архивно-группской филологии,  
книга III, СПб., 1861 г. (წინასიტყვაობა); 2. ე. თაყაიშვილი, Описание рукописей. „Общество  
распространения грамотности среди грузинского населения“, т. II, вып. 1—4, Тифлис, 1906—  
1912 гг., გვ. 632—651.

#### ტაბ. 15 და 16 (A 88).—მცხეთის დავითნი.

ასე იწოდება ყველაზე უძველესი ხელნაწერი ფსალმუნთა წიგნისა, რომელიც რე-  
დაქციულად ძველ ტექსტს შეიცავს. 150 ფსალმუნს წინ უძღვის ერთგვარ შეესავალად  
ათანასე ალექსანდრიელის ძაღლისათჳს ფსალმუნთაჲსაჲ, ხოლო ბოლოს დართული აქვს  
დამატებად სხვადასხვა პირთა გალობანი და ლოცვები (209—238) ქრონიკონი  
(239—248), ფსალმუნთა განაწილება (249—251) და სხ...  
ხელნაწერი შესრულებულია კარგ ეტრატზე მრგვლოვანი ხელით. ნაწერია ცალ  
სვეტად. ხელნაწერის ზომაა 19,5×15 სმ., ნაწერისა კი — 14×9,5 სმ. მელანი შავია,  
აქტივ ნახშირია წითელიც.

ანდერძი, მისწვებელი გადანაწერის ვინაობისა, დროსა და ადგილისა, წიგნს არ გააჩნია.  
გადაწერის დროდ მკვლევართა ერთი ნაწილი 974 წელს მიიჩნევს, ხოლო მეორენი —  
904 წელს. ამის საფუძველს იძლევა ის შენიშვნა, რომელიც ქრონიკონშია (237 რ.):  
„დასაბამითგან რომელ წელნი გარდასრულ არიან, ესრეთ იცნობების: ჯუარცუმამდე უფ-  
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა წელნი ჳფლად (5534), შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე მოა-  
ქამომდე (ე. ი. გადაწერამდე) შროდ“ (974). აკად. კ. ქეკელიძის მტკიცებით, ასეთი  
თელის სისტემა (დასაბამიდან ჯუარცვა-ამალღებამდე) შემოღებულია VII ს.-ში შედგენილ  
Chronicon Paschale-ში, რომელიც ძველად ჩვენშიც ყოფილა ცნობილი და ხმაირებული.  
იფალისწინებს რა ამ პრინციპს, სხენებული მკვლევარი ასკვნის: „მცხეთის დავითნისა  
შენიშვნაში სამი რიცხვობრივი მონაცემი გვაქვს: 1) ქვეყნის დასაბამიდან ქრისტემდე  
5500 წელი ანინაჲ ალექსანდრიელის სისტემისა, 2) 34 წელი ქრისტეს ქვეყნად არსებო-  
ბისა მის ამალღებამდე და 3) 974 წელი ამალღებიდან (ჩვენ. ჯუარცვიდან) ძველის გა-

დაწერამდე. ეს სამი ციფრი გააძლევს ჯამში (5500+34+974) 6508 წელს, ასე რომ, ანინანე ალექსანდრიელის ერას გათვალისწინებით და Chronicon I'aschali-ის პრინციპის მიხედვით, ქვეყნის დასაბამიდან ძველის გადაწერამდე გასულა 6508 წელიწადი. ქართული ეროვნული წელთაღრიცხვით კი, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან ქრისტემდე ითვლის არა 5500-ს, არამედ 5604 წელიწადს, ჩვენ მივიღებთ 6508—5604, ესე იგი—904 წელს როგორც თარიღს ამ საინტერესო ძეგლის გადაწერისას\*.

მეთვს სუჟუნის ამ ხელნაწერის შესახებ იხ.: 1. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი I, თბ., 1900 წ., გვ. 139—191; 2. თ. გორდანიკი, Описание рукописей древности Грузии, I, გვ. 29—34 და 3. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945 წ., გვ. 339—341.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ეკუთვნის იმ ნაწილს, რომელიც იწოდება: „ოქუმელი ნეტარისა ათანასის მთავარ-ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ, ვითარ-იგი დიდითა წადიერებითა გულსმოდგინე ყოფილ არს გამოქულებად ძალსა ფსალმუნთასა და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი მარტოდ მყოფი სავსე მადლითა სულისა წმიდისაჲთა და მისგან ზედამიწეულ არს ძალსა ფსალმუნთასა დავითისთა გულსხმის-ყოფად“.

### ტაბ. 17.—ბერთის ოთხთავი.

ეს ოთხთავი ბერთას არის გადაწერილი (ბერთა კლარჯეთის სამონასტრო პუნქტი იყო). ნაკლებუნად მოღწეულ ანდერძში თარიღი არ იხსენიება, მაგრამ იქ დასახელებულია ისტორიული პირი—ერისთავთ-ერისთავი სუმბატ არტანუჯელი, რომელიც 988 წ. გარდაიცვალა. ამ მაჩვენებლის მიხედვით ბერთის ოთხთავი ამ წლამდის გადაწერილად მიაჩნიათ. აღნიშნული ანდერძიდან ეტყობილობთ, რომ ხელნაწერის მომგებელი ყოფილა ვინმე გაბრიელი.

ეს ხელნაწერი 1830 წ. გაუტანიათ ყარსიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკელ მისიონერებს. ეხლა ის ინახება იქ, Andover—Newton Theological School-ში. ოთხთავის რამდენიმე ფურცლის ფოტო-პირი ამერიკელმა მეცნიერმა, პროფ. R. Blake-მ გადმოუგზავნა აკად. ა. შანიძეს, რომლის ნებართვით ერთ-ერთი გვერდი ნიმუშებში შევიტანეთ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს მარკოსის სახარების 2,26—3,6.

ბერთის ოთხთავი აღწერილია კეთ R. Blake-სა და N. Der-Nersessian-ს: The Gospels of Bert'liuy... «Byzantion», 16 (1941), fasc. 1, pp. 226—285. მცირე ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ გამოაქვეყნა ქართულად აკად. ა. შანიძემ: „ამერიკაში აღმოჩენილია ძველი ქართული ხელნაწერი“, გაზ. „კომუნისტა“, № 231, 17. XI. 1944 წ. (აქედის ცნობა).

### ტაბ. 18 და 19 (S 391) მარტვილის ოთხთავი.

ხელნაწერი, რომელიც ოთხთავს წარმოადგენს, მარტვილის ოთხთავად იწოდება, რადგან იგი მარტვილიდან არის შემოსული საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა S ფონდში.

ეს ნუსხა ორნაირი ხელით ნაწერია ეტრატზე. პირველი, რომელიც მრგოლვანს წარმოადგენს, შეიცავს ფურცლებს 1—130-მდის. ის X ს.-ისად ითვლება. მეორე ნაწილი კი, რომელიც შეიცავს ფურცლებს 131—184-მდის, კუთხოვნით არის შესრულებული. ხელნაწერის ამ ნაწილზე დართული ანდერძიდან იჩვენება, რომ ის 1050 წ. არის გადაწერილი.

მრგოლვანით ნაწერი ნაწილის გვერდები ორ-ორი სვეტისაგან შედგება. ხელნაწერის ზომაა 24×18,5 სმ., ხოლო ცალკე სვეტისა—17×5,5 სმ. არც დრო და არც აღდგოლი, ისე როგორც მომგებელი და გადანაწერი ამ ნაწილის ცნობილი არ არის. ათარიღებში მის მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი წარმოადგენს მარკოზის სახარებას, სახელდობრ: 2,5-15.

**ტაბ. 20 (N 1138).—სამოციქულო.**

ეს ხელნაწერი სამოციქულოს უძველეს ნუსხათაგანია. ნაწერია მრგოლვანი ხელით ეტრატზე (176 ფურც.) ორ სვეტად. ზომა ხელნაწერისა არის 24×22 სმ., ხოლო ნაწერისა 19,5×15 სმ. საწერელი შავია, ალაგ-ალაგ, გარკვეული მიზნით, — წითელიც.

ხელნაწერს ანდერძი აზ გააჩნია, რის გამო უცნობია დაწერის დრო და ადგილი, ისე როგორც გადაწერი და მომგებელი. საფიქრებელია, რომ ხელნაწერის 106 რ-ზე ნუსხის ხელითვე სინგურით შესრულებულ მინაწერში მოხსენებული პირი, ეინმე გაბრიელი („ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ“), გადაწერი იყოს. პალეოგრაფიულად ხელნაწერი X ს.-ისა უნდა იყოს.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტია პრომიელთა მიმართ ეპისტოლის 14, 10-18.

ხელნაწერის აღწერილობა იხ. თ. გორჯანაშვილი—*Описание рукописей некроноса и др.* I. 1931 წ. № 345 (ერთ ხანს ეს ხელნაწერი ამ მუზეუმში ყოფილა, მერმე კი წერა-კითხვის საზ-ბის მუზეუმისთვის დაუბრუნებიათ და ეხლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა S ფონდშია შეული — № 1138).

**ტაბ. 21 და 22 (A 19).—ხვანური მრავალთავი.**

ასე იწოდება მრავალთავის ეს ერთ-ერთი უძველესი ნუსხა. მისი ასეთი სახელწოდება იმით არის დაკავშირებული სენათთან, რომ იგი ერთ დროს იქ იყო დატული. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად მრგოლვანი ხელით. ხელნაწერის ზომაა 38×23,5 სმ., ხოლო ნაწერისა— 33,5×10,5 სმ. (ცალკე სვეტისა). სათურებში ნახშიარია სინგური საწერელი, ხოლო დანარჩენი ნაწილი შავი საწერლით არის შესრულებული.

ხელნაწერს ანდერძი არ გააჩნია. ამიტომ არც დრო და ადგილი აღმოცენებისა, და არც გადაწერი თუ მომგებელი ხელნაწერისა ცნობილი არაა. პალეოგრაფიული ნიშნებით ხელნაწერი X ს.-ისად ითვლება.

ტაბულაზე წარმოდგენილია ტექსტი მე-11 თავიდან, ანუ საკითხავიდან, რომელიც სათურად იტარებს: „ოა საკითხავი. თქუმილი წმიდისა და ნეტარისა პეტრე მთავარ ეპისკოპოსისა იმრუსალემელისაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

ხელნაწერი დაწერილებით აქვს აღწერილი ს. გორჯანაშვილი (სენათის მრავალთავი: საქართველოს არქივი, III, თბ. 1927 წ., გვ. 27-33).

**ტაბულა 23 და 24 (A 509).—ქსნის ოთხთავი.**

ოთხთავის ერთ-ერთი ძველ ნუსხათაგანია ქსნის ოთხთავი, რომელიც ასეთ სახელს იმის გამო იტარებს, რომ ის ქსნის ხეობაში (ახალგორის ეკლესიის ნანგრევებში) აღმოაჩინა 1880 წ. ცნობილია ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ.

ნუსხა, რომელსაც ბლომად აკლია ფურცლები, ნაწერია მრგოლვანით ეტრატზე ორ სვეტად. მისი ზომაა 22,5×19 სმ., ხოლო თვით ნაწერისა — 16,5×5,3 სმ. (ცალკე სვეტისა).

ანდერძი, მუწუყებელი ხელნაწერის დაწერის ადგილისა ან დროს შესახებ, ისე როგორც მისი მომგებლისა და გადაწერის შესახებ, ნუსხას არ მოეპოვება. დაწერის თარიღი მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით არის განსაზღვრული (X ს.).

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტი ლუკას სახარებიდანაა: 21,9-23.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია, „ლიტერატურული ძეგლები“, გვ. 291 — 321.

**ტაბ. 25 და 26—(A 359). ოთხთავი.**

ნუსხა, რომლიდანაც დღეს 23 ფურცელიაა ვადარჩენილი, ნაწერია მრგოლვანით კარგს ეტრატზე ორ სვეტად. მისი ზომაა 28,5×23,2 სმ., ხოლო თვით ნაწერისა — 20,5×6 სმ. (ცალი სვეტისა).

ანდერძი, მუწუყებელი ხელნაწერის აღმოცენების დროსა და პირობების შესახებ, ხელნაწერს არ გააჩნია. დაწერის თარიღი მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით არის განსაზღვრული (X ს.).



ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს ლუკას სახარებას: 6,40-44 (პირველი ტაბულა); 11,22-26 (მეორე ტაბულა).

ტაბ. 27 და 28 (ს 405).—ოთხთავი.

ნუსხა, ერთ-ერთი ძველი ოთხთავი, ნაწერია კარგ ეტრატზე (149 ფურც.) მრგლოვანი ხელით ორ სვეტად. მისი ზომაა  $29 \times 23$  სმ., თვით ნაწერისა კი —  $21,5 \times 5,5$  სმ. (ცალი სვეტისა).

ანდერძი, მაუწყებელი ხელნაწერის აღმოცენების დროსა და პირობების შესახებ, ხელნაწერს არ გაანჩნია. ხელნაწერს ორი მინაწერი აქვს; საფიქრებელია, ესენი ორივე გადაწერისა იყოს. ერთი, ასომთავრულით შესრულებული, ასე იკითხება (48 v): „ქრისტე, შეიწყალე გიორგი (გ'ი), ამენ“; ხოლო მეორე, ნუსხა-ხუცურით შესრულებული, ასე: „წმიდაო მახარებელო მარკოზ, მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა. ლოცვა ყავთ, მონანო ქრისტესნო, გაბრეილისთჳს (გ'ზღისთჳს).“ ვინ არიან გიორგი ან გაბრიელი, არა ჩანს. უკანასკნელი, შესაძლებელია, გადაწერი იყოს. ხელის მიხედვით იგი Xს.-ისაა.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტები წარმოადგენს ლუკას სახარებას: 1,48-63.

ტაბ. 29 და 30 (ს 407).—სამოციქულო.

ერთი უძველეს ნუსხათაგანი, რომელიც შეიცავს ახალი აღთქმის წიგნებს (პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთასა და კათოლიკე ეპისტოლეებს) ერთგვარი შესავლით, რაც ეფთალის სტიქომეტრიად იწოდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

ხელნაწერი შეიცავს 265 ფურცელს. ნაწერია კარგ ეტრატზე, ორ სვეტად, მრგლოვნით. ხელნაწერის ზომაა  $25,2 \times 21,3$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა  $18,5 \times 6$  სმ. (ცალი სვეტისა).

ანდერძი, მაუწყებელი მომგებლის ან დამწერის ვინაობისა, თუ გადაწერის ადგილისა და თარიღისა, ხელნაწერს არ შემორჩენია. ერთგან (256 r.) ნუსხა-ხუცურით სწერია: „იესუ ქრისტე, აღუხუენ ჳელნი მონასა შენსა ბასილ ბერს“-ო, რაც შეიძლება გვაფიქრებინებდა, აქ გადაწერი თუ იგულისხმებო, მაგრამ სიტყვები — „ბასილ ბერს“ — განსხვავებული ხელით არის შესრულებული, რის გამო ნამდვილად მას გადაწერად ვერ მივიჩნევთ. ნუსხის ხელის მიხედვით სამოციქულო X ს.-ის დასასრულისა ჩანს.

ტაბულებზე აღბეჭდილია II ეპისტოლე თესალონიკელთადმი — 3,3-18.

ტაბ. 31 (A 86).—იაკობის ეამის-წირვა.

ასეთი სახელწოდებით ცნობილი ნაწარმოების ყველაზე უადრინდელესი ხელნაწერია. ნაწერია კარგ ეტრატზე (86 ფურც.) მრგლოვანი ხელით ერთ სვეტად. მისი ზომაა  $19,5 \times 14$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა —  $14 \times 8,5$  სმ.

ანდერძში, რომელსაც ნაკლები სახით მოუღწევია. ვკითხულობთ: „მე, ქრისტეს მიერ სემონ (ს'შ6) ქართლისა კათალიკოზმან, დაეწერენ წმიდანი ესე ეამის-წირვანი სამღვდელთ-მოდღურად საწირავად...“ (გვ. 117). სხვა ადგილიდან უფრო მკაფიოდ ჩანს ამ სემონის როლი: „მოიქსენე, უფალო, და ადიდე მომგებელი ამათ ეამის-წირვათაჲ სემონ (ს'შ6) ქართლისა კათალიკოზი“ (გვ. 57). მაშასადამე, ხელნაწერის მომგებელი, ე. ი. დამკვეთი ყოფილა სემონ ქართლისა კათალიკოზი, რომელსაც XI ს.-ის დამდეგის მოღვაწედ მიიჩნევენ. ერთი ადგილიდან (გვ. 68) გადაწერილი ჩანს. ის ვინმე ცისკარა მწერალი ყოფილა.

ხელნაწერის გადაწერის თარიღი აღარსად გვგვდება (აღბაჲ, ან დერძის დაკლებულ ნაწილში იხსენებოდა), რის გამო დათარიღება სემონ კათალიკოზის ზეობით ხერხდება მხოლოდ.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ეამის-წირვიდანაა, რომლის სრული სათაური შემდეგია: „ეამის-წირვაჲ წმიდისა იაკობ მოციქულისაჲ, ძმისა უფლისაჲ, პირველ მთავარ-ეპისკოპოსისა იერუსალმელისაჲ“.

ხელნაწერის აღწერილობა იხ. თ. ქორდანიასთან:—Описание рукописей церковного музея... т. I, гл. 85—87 და კ. ქეკელიძესთან: Архив-гравилетский архивариатикон, гравилетский текет... под редакцией и с предисловием П. С. Кекелидзе, Тифлис, 1912 г., гл. XVI—XIX.

**ტაბ. 32 და 33 (A 28).**— ურბნისის ოთხთავი.

ასეთ სახელწოდებას იმიტომ ატარებს ეს ხელნაწერი, რომ ის თბილისის სიძველეთსაცავში შემოსულია ურბნისის ეკლესიიდან. ნაწერია მრგლოვნით ორ სვეტად კარგ ეტრატზე (222 ფურც.). ხელნაწერის ზომაა 19,8 X 14,5 სმ., თვითონ ნაწერისა კი — 15,5 X 4,5 სმ. (ცალი სვეტისა).

ანდერძი, მაღწევები ხელნაწერის აღმოცენების შესახებ, ხელნაწერს არ გააჩნია. ერთგან (გვ. 362) ნუსხა-ხუტურად ნაწერი მინაწერი მოეპოვება: „ჟ, წმიდანო ღმრთისანო, მოიქენეთ სული იოვანესი გლახ ტატანელისა ლოცვასა შინა თქუენსა“. საფიქრებელია, რომ აქ მოხსენებული იოვანე ტატანელი გადაწერი იყოს. ხელის მიხედვით ხელნაწერი XI ს.-ის პირველი ნახევრისა უნდა იყოს.

ტექსტი, ტაბულგებზე წარმოდგენილი, ლუკას სახარებდიანაა: 2,34 - 51.

ხელნაწერის აღწერილობა იხ. თ. ქორდანიასთან:—Описание рукописей церковного музея, т. I, гл. 21-23.

**ტაბ. 34.**— სინას მრავალთავი.

ამ მრავალთავს წინათაც შეეხებო. მისი აღწერილობა იხილეთ მეექვსე ტაბულასთან. ტაბულაზე წარმოდგენილია ორნაირი ხელით ნაწერი ტექსტი: მრგლოვნითა და კუთხოვნით. პირველი ხელით ნაწერი ტექსტი გაგრძელება იმისა, რაც მეშვიდე ტაბულაზეა აღბეჭდილი, სახელდობრ ანდერძისა. ხოლო მეორე ხელით, კუთხოვნით ნაწერი (აქ მოყვანილი, როგორც ამ ხელის უძველესი თარიღიანი ნიმუში) ანდერძის იმავე ავტორს — მაკარის—კუთუენის და დაწერილია იმავე გადაწერის—ამონას—მიერ, რომელსაც ხელნაწერი გადაუწერია.

**ტაბ. 35 და 36 (H 2124).**— იოანე ოქროპირის ცხოვრება.

ერთი უძველესი თარიღიანი ხელნაწერია ნუსხა-ხუტურით ნაწერებს შორის. იგი 257 ფურცელს შეიცავს. ნაწერია კარგ ეტრატზე. ხელნაწერის ზომაა 16 X 13 სმ., ხოლო თვით ნაწერისა — 11,5 X 8,5 სმ.

ხელნაწერს ანდერძი მოეპოვება; იგი გვაუწყებს გადაწერისა და მომგებლის ვინაობას, გადაწერის ადგილსა და დაწერის თარიღს. — „... მე მიქელ ხუცესმან ფანასკერტელმან, უცებნან ცნობითა და უგუნურმან გონებითა და უნარჩევსმან ყოველთა მონაზონთა, გულს-ვიდვინე მოგებაჲ ამის წიგნისაჲ და დავაწერიე სულიერსა ძმისა ჩემსა ივანე საფარულსა სალოცვესა სულისა ჩემისა ... და შევიწიე წმიდასა მათსა სინასა, საყოფელსა წმიდისა მოსესა, სადაცა მე თვთ მკვდრ ვიყავ... მე გლახაკი და უღებდი და ფრად ცოდვილი მწარალი ამისი ივანე საფარელი და სულიერნი ძმანი ჩემნი... ლოცვასა წმიდასა მოგვსენენით ... და რომელი დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს, დიდსა სწრაფსა და უძღურებასა შინა დავეწერე სიყუარულითა ძმისა ჩემისა მიქაელისითა... დაიწერა ესე წმიდაჲ წიგნი იოვანე ოქროპირისაჲ ლავრასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა ხარიტონ მოლუაფისა და მოწამისასა. დასაბამითაჲნი წელი იყვნეს ზ'ფ'ო'ბ, ქრონიკონი იყო ჳ'ჰ'ჰ'ჰ'“.

ამ მოწმობიდან ჩანს, რომ ხელნაწერის დამკვეთი ანუ მომგებელია მიქაელ ხუცესი, ფანასკერტელი, დაწერია ივანე საფარელი, რომელსაც ის გადაუწერია 968 წ., ლავრასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა ხარიტონ მოლუაფისა და მოწამისასა, რაც, როგორც აკად. კ. ქეკელიძე აღნიშნავს, პალესტინის პალეგრა, ან უკეთ, პალეა ლავრასის (იხ. კ. ქეკელიძე, ქართული ლიტურის ისტორია, I<sup>2</sup>, გვ. 83).

იოანე ოქროპირის ცხოვრების ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ილ. აბულაძე: ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და ზისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, ენიშის მოამბე XIX, გვ. 57-72.

ტაბ. 37 (ათონის ხელნაწ.)—ათონის სამოციქულო.

ერთი უძველეს ნუსხათაგანი, რომელიც შეიცავს ახალი აღთქმის წიგნებს — პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთასა და კათოლიკე ეპისტოლეებს. თავნაკული, შედგება 237 ფურცლისაგან.

ხელნაწერი ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული ეტრატზე. თითო გვერდზე ორი სვეტია. მისი ზომაა 223 × 172 მმ., ხოლო ნაწერისა — 182 × 118 მმ. სვეტებს შორის მანძილი 18 მმ. შეადგენს.

ნუსხას ანდერძი მოეპოვება (236 r.), საიდანაც ირკვევა მომგებელი პირის ვინაობა, დაწერის ადგილი და დრო: „...მე მიქაელ გლახაკმან სახელად ხუცესმან ... მოვივე წმიდაჲ ესე პავლუ... დაიწერა წმიდასა მთასა ოლინბოჯასასა, საყოფელსა წმიდათა კოზმან-დამიანეთასა, პატრიარქობასა კოსტანტინეპოლეს პოლიოქტოჯასა, მეფობასა ნიკიფორესა...“ აქიდან ჩანს, რომ ნუსხის მომგებელი ყოფილა მიქაელ ხუცესი და გადაუწერიათ ის კოზმასა და დამიანეს მონასტერში ოლიმპოს მთაზე, ბითინიაში, ნიკიფორე ფოკას მეფობისას (959—959 წწ.) და კოსტანტინეპოლის პატრიარქ პოლიევქტის მღვდელ-მთავრობისას (956—970 წწ.).

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს საქმე მოციქულთას 23,14-29.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხილეთ: R. Blak. Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la lavre d'Yvrou au mont Athos. «Revue de l'Orient Chrétien, 3 e serie, t. IX (XXIX) n° 3-4 (1833-34), pp. 225-271. ხელნაწერი აქ შესულია № 42-ით. ზემოთ მოყვანილი ცნობები ამ აღწერილობიდან ვიღებთ.

ტაბ. 38 და 39 (S 1141).—შატერდის მრავალთავი.

ამ მეტად საგულსნამო ხელნაწერის შესახებ საქირო ცნობები ზემოთ, ტაბ. 13 და 14-თან დაკავშირებით მოვეცით. აქ მხოლოდ ის უნდა დავსძინოთ, რომ ტაბულებზე წარმოდგენილი მრავალთავის ტექსტი იმ თავიდანაა, რომელიც სათაურად ატარებს: „წმიდისა იპოლიტეს თქუმული კურთხევათა მათთჳს იაკობისთა, ვითარ-იგი ათურამეტნი ნახბეტნი აკურთხნა“.

ტაბ. 40 და 41 (H 1316).—იოანეს გამოცხადების თარგმანები.

ნუსხა-ხუცურით შესრულებულ თარიღიან ხელნაწერა შორის ერთი უძველესთაგანი ნუსხა შეიცავს ევთიმიე ათონელის მიერ თარგმნილ იოანე ლეთისმეტყველის გამოცხადებასა და ამ უკანასკნელის ანდრია კესარიელისეულ კომენტარიებს.

ხელნაწერი შედგება 210 ეტრატის ფურცლისაგან. მისი ზომაა 17,5 × 13 სმ., ხოლო თვით ნაწერისა — 11,8 × 7,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი, მაუწყებელი გადაწერის ვინაობისა, დაწერის ადგილისა და თარიღისა. — „...ღირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვილი საბა... დაწერად ქელითა ჩემითა წმიდასა ამას და კეშმარიტსა წიგნსა გამოცხადებისასა... ბრძანებითა სულიერისა მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა და ძმისა ჩემისა იოვანესითა და გულსმოდგინედ ვიხარკე, რათა უტომელად დაწერო. და კულად შევაწამე და, სადაცა ვგოვინა თუ დაკლებული ანუ შემატებული, ვიდრე ასოდ ერთადმედ, ყოველივე გავჰმართე და, ვგონებ, თუ პირველსა უმეტესს არს. აწ თქუენცა, რომელი სწერდეთ, ვგრევე ყავთ... დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ოლიმპოსს, საყოფელსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, ლავრასა შინა სახელით კრანთას, მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიარქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისსა, კირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოკრებასა გლახაკთასა და აწუუედასა კაბუქთასა უწყალოდ ურთიერთას მახვლითა — ძმა ძმისა ზედა და მამაჲ შეილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა, ამას რაჲ წიგნსა ვწერდი, ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავინ უწყობდა თვნიერ ღმრთისა... დასაბამითგანნი წელი იყენეს ზვჰჰ, კრონიკონი იყო რჳჴ“. ამრიგად, გადაწერა ყოფილა საბა, დაუწერია დიდი ზედმიწევნითობითა და გულმოდ-

გინებით ოლიმპოს მთაზე, ბითონიას, კრანიას სახელით ცნობილ ლავრაში, 978 წელს (582 — 5604 = 198 + 780), ისეთ დროს, როცა ბიზანტიის კეისრებს — ბასილსა და კოსტანტინეს — გასდგომიათ ვარდა სკლიაროსი.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ანდრია კესარიელის განმარტებიდანაა: „წმიდისა მამისა ჩუენისა ანდრიაჲს მთავარ-ეპისკოპოსისა კესარია-კაბადუქიელისაჲ თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ იოუენე მახარობელისაჲ, რომელი სთხოა სხუემან ებისკოპოსმან და ამან მიწერა ესე მისა...“

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ.; „ხელნაწერთა აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სახ-ბის ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (II კოლექცია)“, ტ. III, შედგენილი და დასაბუქად ღ. შაბაღბული კრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობით: და რედაქციით, თბილისი, 1948 წ., გვ. 292-3.

ტაბ. 42. 43 და 44. — ოშკის ბიბლია.

ბიბლიის ცნობილ ქართულ ხელნაწერთა შორის ყველაზე უძველესი თარიღიანი ნუსხა ასე იწოდება იმის გამო, რომ ოშკშია (ტაოშია) გადაწერილი, ხოლო დღეს საბერძნეთს, ათონის მთაზე ინახება.

ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება: 532 და 428 ეტრატის ფურცლისაგან. ნაწერი ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 445 X 323 მმ., ნაწერი სვეტისა კი — 330 X 102 მმ.

ხელნაწერის ანდერძ-მოსახსენებლები გააჩნია, საიდანაც ვცუობილობთ ცნობებს წიგნის მომგებლისა და ვადაწყურის ვინაობის შესახებ, ისე როგორც მისი დაწერის ადგილისა და დროს შესახებ. 1—„...დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა უშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა...“ (მეფეთა IV წიგნის ბოლოს, 219 v.). 2—„...ჲე, იოანე, თორნიკ ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდენისმან, მოუგე წმიდაჲ ესე წიგნი მეფეთაჲ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩეთა და შეილთა ჩემთათჲს... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი გელითა სამთა მწერალთაჲთა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა... ქორნიკონს რეშ“ (მალაქია წინასწარმეტყველის წიგნის ბოლოს, 427 რ. — 428 v.).

მოყვანილი ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ხელნაწერის მოპყებელია ცნობილი იოანე-თორნიკ; ვადაწყურია სანი პირი: მიქაელი, გიორგი და სტეფანე; ვადაწყურის ადგილია ოშკი და დაწერის თარიღია 978 წ. (198 + 780).

ტაბულებზე წარმოდგენილია სამივე ხელი. ტაბ. 43-ზე აღბეჭდილი გვერდის (309 v.) ძირა კიდზე არსებული შენიშვნა: „აქამდე გიორგისი, აქამთჲს მიქაელისი წილმართ...“, გვიჩვენებს, რომ მომდევნო 310 რ. (ტაბ. 44) ნამდვილად მიქაელის ნაწერია, ხოლო ამისგან განსხვავებული წინა ტაბულებზე წამოდგენილი გვერდების ხელი, უნდა ვიფიქროთ, ერთი (ტაბ. 42) სტეფანესისა და მეორე (ტაბ. 43)—გიორგისი.

ტაბ. 42-ზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს შექმნათა 50,6-21, ხოლო ტაბ. 43 და 44-ზე აღბეჭდილი — ისო ზირაქის წიგნის 11,28 — 12,16.

აღწერილობისათვის იხ. R. Blake. Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la lavre d'Ivriou au mont Athos. «Revue du l'orient Chrétien» 3 s. série, t. VIII (XXVIII). 1932 წ., რომელშიაც ეს ხელნაწერი აღწერილია № 1-ად (ზემოთ მოყვანილი ცნობების ნაწილი კიდან გამოვიყენეთ). იხ. აგრეთვე თ. შარაძისა და ონიკაიშვილისა Onicaishvili Onicaishvili მუსეი, კა. II, თბილისი, 1902 წ., გვ. 35 — 41 (სადაც მოცემულია აღწერილობა ოშკის ბიბლიისაგან ვადაღებული ერთ-ერთი პირის); ოშკის ბიბლიას აწვამად სცემს აკად. ა. შანიძე ხელნაწერიდან ვადაღებული ფურცლო-პირების მიხედვით. ჯერჯერობით ვამოსულია I ტომის ორი ნაკვეთი: „წიგნი ძველისა აღთქმისანი“, ტ. I, ნაკვ. 1, თბილისი, 1947 წ. და ტ. I, ნაკვ. 2, თბილისი, 1948 წ.

აღბოშში წარმოდგენილი ნიმუშები აკად. ა. შანიძემ ვადაღებულ ვამოსაქეენებლად

ტაბ. 45 (A 05). — პარხლის მრავალთავი.

ქართულ ხელნაწერთა შორის მოკულობით ყველაზე უდიდესი ეს ნუსხა, ვადაწყურის ბარხალს (ტაოში) და ამიტომ პარხლისად იწოდება. ნაწერი კარგ ეტრატზე ორ სვეტად

ნუსხა-ხუცურით. ხელნაწერი 658 ფურცელს შეიცავს. მისი ზომაა  $48 \times 35$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა —  $36,5 \times 10$  სმ. (სვეტისა).

ხელნაწერს ერთგან გადამწერისავე ხელით მოსახსენებელი მოეპოვება, საიდანაც ეტყობილობთ გადამწერის ვინაობასა და გადაწერის ადგილს.—პირველ, ოდეს ამის წიგნსა დაიწყო, ესე მედეა გულსა, ვითა დედათა წამებამ და ცხოვრებამ ოდენ დაეწერო... ეგებნე დედა და ესთენ ვპოვე, ვერალარა შემეძლო ძებნა. მერმე ესე მამათა მოწამეთა, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე... სული გაბრიელ პატარაისა და მოიკუნეთ...“ აქიდან აშკარაა, რომ გადამწერი ხელნაწერისა გაბრიელ პატარაისა და ადგილი, სადაც მას ის უწერია, პარხალია.

დაწერის თარიღი ნუსხას არ გააჩნია. ხელისა და შინაარსის მიხედვით მას, ამ ბოლო ხანებში, X ს.-ის ნაცვლად XI ს.-ის დამდეგისად მიიჩნევენ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თავიდან არის, რომელიც იწოდება: „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისა, ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის მშობელისა მარიაჲსა მთავარ-ანგელოზისა გაბრიელის მიერ“ (ტექსტი გამოცემულია ილია აბულაძის მიერ: „მრავალთაჲ“, ენობის „მოამბე“, XIV, გვ. 255—260).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ქორდანიას Описание рукописей церковного музея, I, გვ. 96—114 და მ. ჯანაშვილის „ქართული მწერლობა“, წიგნი I, თბილისი, 1900 წ., გვ. 134—136.

ტაბ. 46 (S 4027).—პარხლის ოთხთავი.

ნუსხა-ხუცურით ნაწერი ერთი უძველეს ოთხთავთაგანია. ნაწერია ეტრატზე (147 ფურც.) ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა  $29 \times 21$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $23,5 \times 8$  (ცალი სვეტისა).

ხელნაწერის 133 რ-ზე გადამწერის ანდერძი მოიპოვება. იქ ვკითხულობთ: „ღიდებაჲ შენდა ... სამებარა წმიდაო, რომელმან ღირს მყავ ცოდვილი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა. დაესრულა სახარებამ ოთხთავი ჯელითა ჩემ ცოდვილისა გაბრიელ პატარაისა და თა“. როგორც აქიდან ირკვევა, ხელნაწერის გადამწერია გაბრიელ პატარაი, ჩვენთვის უკვე ცნობილი პირი, ესლახან აღწერილი ხელნაწერის (A 95) გადამწერი. ვინაიდან გაბრიელ პატარაი პარხლის მონასტრის მოღვაწედ ჩანდა X—XI ს.-ში, ამიტომ ეს ოთხთავიც მას იმავე ადგილსა და დროს უნდა ჰქონდეს გადაწერილი. ამაში ექვს არ სტოვებს არც ხელი, რომელიც ორივეგან ყოველმხრივ ერთნაირია.

ტაბ. 47 (A 603).—იაღვარი.

საგალობლების წიგნთა შორის უძველეს ხელნაწერთაგანია ეს იაღვარი, რომელიც შეიცავს დღესასწაულების გარკვეული რიგით დაწყობილ საგალობლებს სანოტო ნიშნებით. ნაწერია ეტრატზე ნუსხა-ხუცურით. შედგება 229 ფურცლისაგან. ხელნაწერის ზომაა  $16,7 \times 11,5$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $13,7 \times 7,2$  სმ.

სხვადასხვა ადგილს გადამწერისავე ხელით აღბეჭდილია: „ქრისტე, შეიწყალე იორდანე და იოვანე, ამენ“ (116 გვ.), რაც გადამწერთ უნდა ეხებოდეს. ხელისა და შინაარსის მიხედვით ეს იაღვარი X—XI ს.-ისა უნდა იყოს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი არის იმ თავიდან, რომელიც ასეთ სათაურს ატარებს: „შესხმანი წმიდისა ღმრთის მშობლისანი“.

აღწერილობისათვის იხ. თ. ქორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. II, გვ. 106—107.

ტაბ. 48 (A 696). იაღვარი.

ეს იაღვარიც, საუფლო და მთავარი დღესასწაულებისა, ერთი უძველეს ნუსხთაგანია. ნაწერია ეტრატზე ნუსხურად. შეიცავს 179 ფურცელს. ხელნაწერის ზომაა  $18 \times 13,7$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $15,2 \times 9$  სმ.

ანდერძი, მომთხრობი ხელნაწერის აღმოცენების შესახებ, ხელნაწერს არ შემორჩენია, რადგან მას ბლომად აკლია ფურცლები. ხელის მიხედვით იგი X—XI ს. უნდა ეკუთვნოდეს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ამ თავიდანაა, რომელიც სათაურად ატარებს: „იენისა კ. მამასია“.

აღწერილობისათვის იხ. თ. ჟ რ დ ა ნ ი ა ს Описаніе рукописей древняго языка, ტ. II, გვ. 104.

ტაბ. 49 და 50 (S 425).—**მიქაელ მოდრეკილის იადგარი.**

ასე იწოდება ძველი ქართული საგალობლების ყველაზე უფრო ვრცელი კრებული, რომლის შემდგენელი და უდიდესი ნაწილის გადამწერიც მიქაელ მოდრეკილია. მთლიანად ნუსხას არ მოუღწევიან; შემორჩენილი ნაწილი შეიცავს 544 ფურცელს. ნაწერია კარგ ეტრატზე ნუსხა-ხელური ხელით (ანდერძებია მხოლოდ მრგლოვანი ხეცურით ნაწერი). ხელნაწერის ზომაა 38,5 × 30,5 სმ., ნაწერისა კი — 29 × 22 სმ.

ხელნაწერს რამდენსავე ადგილს ანდერძი ახლავს. ჩვენ მიერ აღებულ ტექსტთან დაკავშირებულ ანდერძში ვკითხულობთ: „შეწვენითა ღმრთისაათა, რომელი-იგი არს მიზეზი ყოელისა კეთილისაჲ, ზე, გლახამან მიქაელ მოდრეკილმან, ძმისწულმან ღმერთ-შემოსილისა მამისა დავითისმან, ვილუაწე და ყოელით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაჲს ძალისა ჩემისა და ფრიადითა სარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შეგვირბენ ძლისპირანი ესე ყოელით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაათა: მეხურნა, ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოელითა განგებითა. და დავწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოელითა განმარტებითა და კვშმართებითა. და ესრეთ განვაწესე თავით თვსით და უმჯობეს ყვეა უმეტრებითა სიგლახაჲისა ჩემისაათა, რამეთუ ყოელსა ჴმასა პირველ უფალა დალატყავისა ძლისპირნი დავწერენ და შემდგომად გლობანი თჳნიერ ქარაგმისა. და ყოელითურთ სრულ იქნან მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ ძალითა და შეწვენითა დიად სახიერისა მხოლოჲსა ღმრთისაათა, რომელი კურთხეულ არს აწ და შერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ“.

აქიდან ჩანს, რომ მიქაელს შეუკრებია ძლისპირნი სხვადასხვა წყაროდან და დაუწერია ისინი გარკვეული რიგით და, რაც მთავარია, უქარაგმოდ. უქარაგმოდ ნაწერია კრებულის საკმაოდ ვრცელი ნაწილი (ქარაგმისათვის მიუშვართავს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა სტრიქონში აღარ ეტეოდა მოსათავსებელი ტექსტი. აქ კი დაუქარაგმებია სტრიქონის ბოლო სიტყვები). უქარაგმოდ ნაწერი ძველი ქართული ტექსტი საერთოდ არ მოგვეპოვება, რის გამოც კრებულის ამ უქარაგმოდ ნაწერ ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს ქარაგმის საკითხისათვის ძველს ქართულ მწერლობაში.<sup>1</sup>

ტაბულა 50 ხელნაწერის მთლიან გვერდს წარმოადგენს, ხოლო ტაბულა 49 — ამ გვერდის ერთ ნაწილს. ასე წარმოვადგინეთ ეს უკანასკნელი იმის გამო, რომ ტექსტის ამოკითხვა გაადვილებოდა მკითხველს და თანაც კარგად გაერჩია ასოებიც, რომლებიც მთლიანი გვერდის შემცველ ტაბულაზე ასე ნათლად არა ჩანს.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ნაწილია იმ ძლისპირისა, რომელიც მიძღვნილია ქრისტეს შობისადმი („ძლისპირნი და ღმრთის მშობლისანი“). ამ თემისადმი მიძღვნილი საგალობლები სანატო ნიშნებიანია, რომლებიც დღემდის არაა ამოცნობილი. ხელნაწერს დაწერის თარიღი არ გააჩნია, ხელით კი X—XI ს.ისა უნდა იყოს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. მ. ჯანაშვილის „საუნჯე მათე საუჯნისა“, თბილისი, 1891 წ., თ. ჟ რ დ ა ნ ი ა ს „ქრონიკები“, ტ. I, თბილისი, 1892 წ. (გვ. 111—122) და კ. კეკელიძის

<sup>1</sup> მიქაელის კრებულის ამ უქარაგმო ტექსტს გამოსაცემად ვამზადებთ.

ტაბ. 51 და 52 (A 307).—აპოკალიპსის თარგმანება ანდრია კესარიელისა.

აპოკალიპსის ანდრია კესარიელისეული კომენტარიების ქართული თარგმანის ერთი უძველეს ნუსხათაგანი ნაწერია ეტრატზე ნუსხა-ხუცურით. ხელნაწერი 452 გვერდს შეიცავს, რომელთაგან პირველი 54 გვერდი გვიან (XVII ს.-შია) დართული. ძველი ხელნაწერისა, მაშასადამე, 398 გვერდია შემორჩენილი. ამ ნუსხის ზომაა 26 X 19 სმ., ხოლო თვით ნაწერისა — 20 X 12,2 სმ.

ხელნაწერში მრავალი მინაწერი მოიპოვება, ზოგი დამწერის ხელითვეა შესრულებული. ასე, მაგალითად იმ თხზულების ბოლოს, რომელიც სათაურად ატარებს — წმინდისა მამისა ჩუენისა ანდრიაჲს მთავარ-ეპისკოპოსისაჲ კესარია-კაპადოკიელისაჲ თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმინდისა იოვანე მახარებელისაჲ და რომლის ნაწილი ტაბულებზეა აღბეჭდილი, კვითხულობთ: 1. „უფალო ღმერთო, ადიდე სული მამისა ეფთჳმესი, რომელმან ესე წმიდაჲ წიგნი თარგმნა, ამენ“; 2. „...ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა დოსითეოსჲს და ზომად წერისა და დაკლებისათჳს შემინდევით“. აქიდან ირკვევა, რომ ამ თხზულების მთარგმნელია ევთიმე ათონელი, ხოლო გადამწერი ვინმე დოსითეა.

ხელნაწერი უთარილოა; ხელით კი X—XI ს.-ისა უნდა იყოს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, გვ. 392 — 395.

ტაბ. 53 (A 92). — არიოზისა და ეენომიოსის მიმართ გრიგოლ ღვთისმეტყველისა.

ხელნაწერი, რომელიც ევთიმე ათონელის მიერ ნათარგმნ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს შეიცავს, ნაწერია კარგ ეტრატზე ნუსხა-ხუცურად. ნუსხა სულ 845 გვერდისაგან შედგება, მაგრამ აქიდან მხოლოდ 680 გვერდია ძველი ხელნაწერისა. ამის ზომაა 26,2 X 20,5 სმ., თვით ნაწერისა კი — 20 X 13,6 სმ.

ხელნაწერიც გადამწერისავე ხელით შესრულებული მრავალი მინაწერი მოიპოვება. მათით ირკვევა წიგნის მთარგმნელი, მომგებელი და გადამწერლები. ასეთებია, მაგალითად: 1. „ქრისტე. ადიდე. მამაჲ ეფთჳმე, ამისი გამომთარგმანებელი, ორთაჲე შინა სოფელთა საუკუნოდ“ (ასომთავრული ხუცურით, გვ. 210); 2. „ამის წიგნისა მომგებელსა მიქაელ ხუცესს შეუნდენენ ღმერთმან“ (ნუსხა-ხუცურით, გვ. 361); 3. „დაიწერა ჳელთა ზაქარიაჲსითა, არსენისითა და ბასილისითა, ღმერთმან გარწმუნოს, ჳსენებულ გუყუენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა“ (ნუსხა-ხუცურით, გვ. 555). დასახელებული პირები ათონის მთაზე მოღვაწედ არიან მიჩნეული, ასე რომ ხელნაწერი ათონური წარმოშობისა ჩანს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თავიდანაა, რომელიც ატარებს სათაურად: „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისაჲ ძისათჳს, პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილისა, თავი ა: ხოლო საკითხავი ესე სიტჳს გებაჲ არს მწვალებელთა მიმართ არიოზ და ეენომიოს და მსგავსთა მათთა და მხილებთაჲ ურჩულოჲსა ამის და ბოროტისა წყალებისაჲ მათისაჲ მის თჳსჳე, თავი მეორე“ (455 გვ.). ხელნაწერი უთარილოა; ხელის მიხედვით XI ს.-ის დამდგენისა ჩანს.

აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, გვ 93 — 94.

ტაბ. 54 და 55 (A 1760).—მამათა სწავლანი (ფრაგმენტები).

მამათა სწავლანი, რომელთაგან ერთი ეფრემ ასურისა, როგორც ეს აღნიშნულია 54 ე ტაბულაზე წარმოდგენილ ტექსტში, ფრაგმენტის სახით არის მოღწეული ჩვენამ.

დის. ამ ნაწილს ღირი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ ის ავტოგრაფს წარმოადგენს ქართული დიდი მოღვაწის ევთიმე ათონელისას.

ორად-ორი ფურცელია გადაჩენილი თავის დროზე საკმაოდ დიდი მოცულობისად სავარაუდებელი წიგნიდან, რომელიც ევთიმეს უთარგმნია ბერძნულიდან. მისი ზომაა 16,3 X 13 სმ., თვით ნაწერისა კი — 13 X 9 სმ.

რომ ეს ფრაგმენტი, ნუსხა-ხუცურით ნაწერი, ევთიმეს ხელით არის შესრულებული, ამას მოწმობს, ჯერ ერთი, მასზე აღბეჭდილი ევთიმეს მინაწერი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღწართისანო, გლახაკისა ეფთჳმისთჳს, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი ვთარგმნე“ო და, ნორაჲც, შედარება პროფ. ალ. ცაგარლის მიერ ავტოგრაფად მიჩნეულ იმ ნიმუშთან, რომელიც მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომში: *Средне-византизмъ и византизмъ въ грузинской письменности*, вып. I, СПб., 1886, стр. 92 (ხელნაწ. № 72, რაც შტრ. წიგნზე დართულ ტაბულას — V ა-ს და მის *приложеніи къ папеевской таблицѣ*).

ფრაგმენტი უთარიღოა. საფიქრებელია XI ს.-ის დამდეგისა იყოს.

ტაბ. 56 (A 1104). — დიალოლონი.

ხელნაწერი ათონურია. ის შედგება 286 ფურცლისაგან. ნაწერია ნუსხა-ხუცური ხელით ეტრატზე ორ სვეტად. მისი ზომაა 36 X 29,5 სმ., თვით ნაწერისა კი — 29,5 X 10,5 სმ. (სვეტისა).

ხელნაწერს ანდერძები მოეპოვება. ერთი მთავანი ეხება ხელნაწერის დაწერის ადგილსა და თარიღს: „ხოლო დაიწერა მთაწმიდას, ათონას, მონასტერსა წმიდათა მამათა აშენებულსა იოვანე და ეფთჳმესა, საყოფელსა წმიდისა დეოფთლისა ჩუენისა ღმრთის-მშობლისასა. ბერძულად დასაბამითგანნი წელნი იყენეს ზჳ, ინდიქტიონი—, ჯჳარცუმითგან შჳ; ქართულად დასაბამითგანნი წელნი ზქ, ქრონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ხ, ჯჳარცუმითგან—, მეფობასა ბერძენთა ზედა ვასილისსა და ძმისა მათისა კოსტანტისა ძეთა, კოსტანტინეპოლეს პატრიარქობასა—...“ (286 r.). მაგრამ ამას ჩვენ ხელნაწერის დასათარიღებელ საყრდენად ვერ გამოვიყენებთ, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ანდერძი წინასწარ ჩანს დამზადებული ხელნაწერის გააუწერის დამთავრებამდე. ქრონოლოგიის შესავსებად ადგილი თავისუფლად გაუშვიათ, სადაც, მართლაც, შემდეგში რიცხვები სხვა ხელით ჩაუწერიათ; თავისუფლად გაუშვიათ პატრიარქის სახელიც. ასე რომ ეს, თითქოსდა ანდერძი, გამოუსადეგარია. საგულისხმოა მეორე ანდერძი, რომელიც გვაცნობს გადაწერათა ვინაობასა და დიალოლონის თარგმანის შესრულების თარიღს: „...ხოლო მე გლახაკი იოვანე გრძელის ძე ამას დაეწერა... და ლოცვა ყავთ წმიდისა მამად-მთავრისა არსენისთჳს, ფრიად უშრომია და უკეთესი მათი დაწერილია,... და ჩუენ ცოდეილთა და არა ღირსთა უფროჲს ყოველთა ქრისტეანეთა შეილისა ჩემისა ოქროპირისა და საბაღს და ჩემ საწყალობელისა იოვანე გრძელის ძასათჳს. ზოგი ჩუენ დაგვწერია... ხოლო ჩუენ ესე ითარგმნა ქართული ქრონიკონი იყო სლა, ბერძულად დასაბამითგანნი წელნი ზჳით და ქრისტეს ჯჳარცუმითგან შჳგ, ინდიქტიონი თ...“ (117 v. — 118 r.). ხელნაწერის დაწერის დროს გასარკვევად საინტერესოა ერთ-ერთი მინაწერიც: „ლოცვა ყავთ ღმერთშემოსილისა სულით და ჳორციით წმიდისა მამისა ეფთჳმესაჳს, რომლისა ზეობასა ვწერთ“ (131 v.). როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, ხელნაწერი დაწერილია ათონს, დაუწერიათ ის იოანე გრძელისძეს, ოქროპირს, საბაღსა და მამათ-მთავარს არსენის. თხზულება უთარგმნია ევთიმე ათონელს 1011 წელს, ხოლო ჩუენი ნუსხა შესრულებული უნდა იყოს 1011 — 1019 წწ. შორის (უკანასკნელი წელი ევთიმეს ზეობის დასასრულია; ამ წელს მან დაანება თავი მამასახლისობას), ყოველ შემთხვევაში, XI ს.-ის მეორე ათეულში.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი გრიგოლ რომთა შაპის დიალოლონის II თავიდანაა.



**ტაბ. 57 (A 91).—ოთხთავის თარგმანება.**

ხელნაწერი ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული ეტრატზე. შედგება 258 ფურცლისაგან. მისი ზომაა 26,5 X 20,3 სმ., ნაწერისა კი — 21 X 14 სმ.

ხელნაწერს მისი აღმოცენების მაჩვენებელი არც ანდერძი და არც რაიმე სხვა მიწერილი არ გააჩნია. მხოლოდ შემძისელთა ერთს მინაწერში აღნიშნულია: „შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი გაბრიელ ზრბითელისა ტელითა“. ხელის მიხედვით XI ს.-ის დამდეგისად მიიჩნევა.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს თარგმანებას სახარების სიტყვებისას: „შევედით იწროასაგან ბქისა, რამეთუ ვრცელ არს ბქე და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწუმედელად და მრავალნი ვლენან მას. ვითარ-იგი იწრო არს ბქე და საჰირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა და მცირედ აზრიან შაველნი მას შინა“ (451 გვ.). ეს ადგილი მათეს სახარებთანა (7,13-14), ამიტომ ის მათეს სახარების თარგმანებას წარმოადგენს და არა მოლქასას, როგორც ეს თ. ჟორდანიას აქვს აღნიშნული (Описание рукописей переконного музея, ტ. I, გვ 93).

**ტაბ. 58 (A 648). — მცირე სვინაქსარი.**

უძველესი ხელნაწერი ქართული სვინაქსარისა, რომლის გადმოღება ეკუთვნის ვეთიმე ათონელს. იგი 72 ფურცლისაგან შედგება. ნაწერი ეტრატზე ნუსხა-ხუცური ხელით. ხელნაწერის ზომაა 27 X 20,5 სმ., თვით ნაწერისა კი.— 21 X 14,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი სულ ბოლო ფურცელზე, რომელსაც კ. კეკელიძე ამ ხელნაწერს არ აკუთვნებს. იქ ვკითხულობთ: „...დაიწერა ქალაქსა შინა დიდსა კოსტანტინეპოლის, ახალსა რომსა, დასაბამითვანთა წელთა ვითარ ბერძენნი ითუალვენ ზფლ[ქ], ინდიკტიონსა იგ, კმრთველთა ქრონიკონსა სნ... ჩემსა მწირობასა პილურისა მონასტერსა კელითა შეილისა ჩემისა ბასილი ეტრატაჲსითა...“ (143 გვ.). აქედან ნათელია, რომ თარიღი ხელნაწერის დაწერისა, რაც კოსტანტინეპოლს შეუსრულებიათ, 1030 წელია და დამწერი კიდევ ბასილი ეტრატაჲ არის. ეს ანდერძი რომ მართლაც ამ წიგნისა არ იყოს, იგი მაინც ამ ხანისად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან მის მინაწერებში იხსენიება ზაქარია ვალაშკერტელი, რომელიც დაახლოებით ამ დროს მოღვაწეობდა.

სვინაქსარი, რომლის ტექსტის ნიმუში ტაბულაზეა აღბეჭდილი, უძველესია ამ ტიპის ნაწარმოებთა შორის. ის, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულიდან გადმოიღო ვეთიმე ათონელმა. მისი სახელწოდება — „სვინაქსარი საწელიწდოჲ უმცროჲ“ — მოწმობს, რომ ის მცირე სვინაქსარს წარმოადგენს (შემდეგ გიორგი ათონელმა გადმოიღო აგრეთვე „დიდი სვინაქსარი“).

ხელნაწერის აღწერილობისთვის იხ. კ. კეკელიძის *Поручающиеся капоарь VII в. (рукописная порция)*, თბილისი, 1912 წ., გვ. 297—300 და თ. ჟორდანიას *Описание рукописей переконного музея*, ტ. II, თბილისი, 1902 წ., გვ. 132—133.

**ტაბ. 59 (A 1).—გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული კარგ ეტრატზე, შეიცავს 454 ფურცელს. მისი ზომაა 28,5 X 21,5 სმ., ხოლო თვით ნაწერისა—21,7 X 14,7 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება მინაწერი (875 გვ.): „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, აღიდე შენმიერითა ზეგარდამოვთა დიდებითა ორთავე შინა სუფევთა ზაქარია სვგელოზი ბანელი მამად-მთავარი... ლოცვა ყავთ უღირსისა და ყოვლად ცოდლისა უტბად მზრტკლისა ბასილისთჲს...“ აქ მოხსენიებულ ზაქარია ბანაელს ზაქარია ვალაშკერტელად მიიჩნევენ და ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს ხელნაწერიც წინას მსგავსად დაახლოებით ერთსადაიმავე ხანაში უნდა იყოს დაწერილი, ე. ი. 1030 წლის ახლოს. ანდერძი ნუსხას თუმცა აღარ შემორჩენია, მაგრამ ამ ხელნაწერის პირად მიჩნეულ ერთს XVIII ს.-ის ნუსხას (A 16) გააჩნია დედნისეული ანდერძის პირი, რაც ამ ხელნაწერის დაკარგულა ანდერძი-

დან მომდინარეობს, და ეს მიხედვით მისი დაწერის თარიღი ზედმიწევნით ირკვევა: იქ იკითხება: „დაიწერა ქალაქა შინა კოსტანტინეპოლეს, დასაბამითგან წელთა ბერძენთა სათულაეთითა ზღლმ, ინდუქტიონსა ივ. ქართულთა ქრონიკონსა სნ(ა)...“ ამნაირად, დაწერის თარიღია 1030 წელი, ხოლო გადამწერია, როგორც ხელნაწერის მინაწერი აცხადებს, ვინმე ბასილი.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი გრაგოლ დეთასმეტყველის ცხოვრებიდანაა.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей персидского языка, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 1—4.

ტაბ. 60 და 61 (S 143). — ხეგულის კანონი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული კარგ ეტრატზე, შეიცავს 213 ფურცელს. მისი ზომაა  $19 \times 15$  სმ., თვით ნაწერისა კი —  $14,7 \times 9,7$  სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „რომელნიცა ამას რჩელის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვისა მომიძენეთ გლახაკი ევთემე, რომელნან ეთარგმნე ესე ბერძულისაგან ქართულად, ამერ იყავნ. უფალო იესუ ქრისტე, მფლობელო ყოველთავე არსთა და სუფევათაო, აღიდგე შენმეორითა წარუვალითა დიდებითა ზეცისა სასუფეველსა წმიდაჲ მამად-მთავარი ზაქარია ვალაშკერტელი“ (195 გვ.). როგორც ვხედავთ ეს ხელნაწერიც, მსგავსად წინასი, ზაქარია ვალაშკერტელის სახელთანაა დაკავშირებული. ამიტომ იგი დაახლოებით იმავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც დასახელებული.

[პროფ. ალ. ხახანაშვილს აღნიშნული აქვს (Номоканон Иоанна Постника, Москва, 1902, გვ. 94), თითქოს თარიღის მათუქებელი (1031 წ.) ანდერძი გააჩნდეს ამ ხელნაწერს, მაგრამ ასეთი მას არ აღმოაჩნდა].

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ ნაწარმოებიდანაა, რომელიც ასეა წარწერილი: „ძვეგლის წერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლეს შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს...“ (VII მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებანი).

ტაბ. 62 (A 135). — ფსალმუნთა განმარტება ბასილი კესარიელისა.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ეტრატზე, შეიცავს 256 ფურცელს. მისი ზომაა  $20 \times 14,5$  სმ., თვით ნაწერისა კი —  $15,5 \times 8,7$  სმ.

ხელნაწერს გააჩნია მინაწერებიცა და ანდერძიც. მინაწერებიდან ვიტყობთ, რომ დამწერია დავით ჯიბისძე, ხოლო ანდერძში ვკითხულობთ შემდეგ საგულისხმო ცნობებს: „...მრძანებითა ეზღრა მამად-მთავრისა... დაეწერე ჴელითა სულიერითა ძმთა ჩემთათა საბაჲსითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და გაეანსრულე ჴელითა შვილისა ჩემისა ივანესითა. და შევმოსე უღირსითა ჴელითა ჩემითა და დავედგე შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა... დაიწერა ქრონიკონსა სნ(ა)“ (გვ. 510 — 11). ამ ცნობებით, მაშასადამე, ირკვევა, რომ ნუსხა დაეწერათ მამასა და შვილს — დავითს და ივანე ჯიბისძეთ — 1035 წელს, შატბერდს, რომლისათვისაც ის შეუწირავთ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ბასილი კესარიელის ფსალმუნთა თარგმანებიდანაა, სახელდობრ, ეკუთვნის თავს, რომელიც შემდეგნაირად არის წაწერილი: „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი თარგმანებაჲ ნთ ფსალმუნისაჲ“. ამ თხზულების ქართული თარგმანი ევთიმე ათონელს ეკუთვნის.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей доархаистого языка, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 142 — 44.

ტაბ. 63 (H 2211). — სვინაქსარი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული კარგ ეტრატზე, შედგება 325 ფურცლისაგან. მისი ზომაა  $21 \times 16$  სმ., თვით ნაწერისა კი —  $17,5 \times 12,5$  სმ.

ანდერძი ხელნაწერს ბოლოს გააჩნია (325 v.), მაგრამ ნაწერი გადალექულია და კარგად აღარ ირჩევა. ვადაწერის ერთ-ერთი მინაწერიდან კი („ლოცვა ყავთ მწყალობელისა ჩემისა დავით ჯიბისძისათჳს“) ირკვევა, რომ ვადაწერის ურთიერთობა ჰქონია დავით ჯიბისძისთან, რომლის სახელთან დაკავშირებული ერთი ხელნაწერი ეხლახან (ტაბ. 61 და 62) დავებასიათეთ. აქიდან, ცხადია, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ხელნაწერი ვადაწერილია XI ს.-ის პირველ ნახევარში, უფრო ამ ნახევრის ბოლო ათეულში, რადგან ეს ხელნაწერი, რომელშიც წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდლის დიდი სივანქსარი, 1042—44 წწ.-ში ნათარგმნად მიიჩნევა.

ტაბ. 64 და 65 (H 1366).— მათეს სახარების თარგმანება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ეტრატზე, შედგება 299 ფურცლისაგან. მისი ზომაა  $32,5 \times 21,5$  სმ., თვით ნაწერისა კი —  $25,8 \times 16$  სმ.

ნუსხას ნაკლებვანობის გამო ანდერძი არ შერჩენია. ვადაწერის მინაწერებიდან კი ზოგიერთი უნდა მიგვითითებდეს მთარგმნელზე („ქრისტე, შეიწყალე ევეთემ“, 93 r.), ეთიმე ათონელზე, ზოგი — ხელნაწერის მომგებელზე: „ქრისტე, შეიწყალე ფოკას ებისკოპოსი“ (2 r.); „ესე სახარების თარგმანი დაიწერა ფოკასის საფასოთა...“ (96 v.). მაგრამ სად დაიწერა და ვის მიერ, არსადაა აღნიშნული. ხელის მიხედვით ხელნაწერი შეიძლება მივიჩნიოთ XI ს.-ის პირველი ნახევრისად.

ტაბულეზე აღბეჭდილი ტექსტი მეორმოცე თავიდან არის იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტებისა, რომლის მთარგმნელად ევთიმე ათონელია ცნობილი.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საენოგრაფიო სახ-ბის ყოფ. მუხუმის ხელნაწერებისა (H კოლექციისა)“, ტ. III, კო. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი 1948 წ. გვ. 325-26.

ტაბ. 66 და 67 (H 1741).— პალესტინური ოთხთავი.

ნუსხა-ხუცურით შესრულებულ ოთხთავთა შორის ერთი უძველესი თარიღიანი ნუსხათაგანია, შედგება 343 ფურცლისაგან. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა  $21,8 \times 15,5$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა —  $17 \times 4,8$  სმ. (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოუპოვება ანდერძი: „...მე გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალაგერელი, მნათე ყოფილი, ყოველთა მოწესეთა ნარჩევი, მიწა და მტუერი, შვილი მცხეთისაჲ, ღირს მყო ღმერთმან... და მოვიწიე წმიდასა ქალქსა იერუსალემს, აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და წმიდასა გოლგოთას, და მოვილოცენ ყოველნი წმიდანი აღგელნი მისნი მოწყალებითა ქრისტესითა და დამაწესეს მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა... და მოვიეცე წმიდაჲ ესე ოთხთავი, სრული ყოველთა საჭმრითა, სალოცველად ცოდვისა სულისა ჩემისა... ქრონიკონი ყო სჯე. დაიწერა წმიდასა ადგილსა გეს(ა)ზანიას, საფლავსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა ღედისაგან საბაწმიდისა, განგებასა ზედა ბერძულსა, დიად ხარკებითა ჯელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მცხეთისაჲე მიწისაგან...“. აქიდან ირკვევა, რომ ხელნაწერის მომგებელი ყოფილა პალაგარში მოღვაწე ხუცესი მცხეთელი სტეფანე, როპელსაც დაუწერიანებია ეს ოთხთავი საბაწმიდური ღედნიდან მცხეთელივე მიქაელისთვის გეტსამანიას, იერუსალემს, 1048 წ.

ტაბულეზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს. ლუკას სახარების 7,41-47; 8,11-16 (ტაბ. 66); 9,13-25 (ტაბ. 67).

ტაბ. 68 და 69 (H 1709).— ნიკოლოზ ხაყირაველთმოქმედის ცხოვრება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ეტრატზე, შეიცავს 131 ფურცელს. მისი ზომაა  $20 \times 14$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $16,5 \times 8$  სმ.

ნუსხას მოუპოვება ანდერძი: „წმიდაო მღელ-მოდელარო ნიკოლაოზ, მეოხ ვყავ... ერისთავთ-ერისთავსა ივანე დადიანსა..., რომელმან ილუჳა სიყუარულისათჳს შენისა და აღწერა ანგელოზებრი მოქალაქობაჲ შენი... დაიკვე მშჯღობით, სიმრთელით და დღე-

გრძელობით...<sup>c</sup> მართალია, აქიდან არა ჩანს ხელნაწერის დაწერის არც ადგილზე და არც დრო, მაგრამ აქ მოხსენებული პირის — ერისთავთა-ერისთვის ივანე დადიანის — მოღვაწეობის ხანა XI ს.-ის პირველ ნახევარზე მოდის, რის გამოც ნუსხის დათარიღება შესაძლებელია ამ ხანით. ამას უდავლა ხელნაწერის ხელიც, რომელიც, თუ ანდერძში ნახმარ სიტყვას — „აღწერას“ — გადაწერის მნიშვნელობით გაეივებდით, ამავე დადიანისათვის უნდა მიგვეუთვნებინა.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტის სათაური შემდეგნაირად არის წარწერილი: „ცხოვრება და მოქალაქობა დადიანისა და საკრველთ-მოქმედისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მთავარ-ებისკ-პოსისა მირონ ქალაქისა, რომელ არს ქუეყანასა ლუციისასა“.

ტაბ. 70 და 71 (A 285). — კლემეპსი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე შესრულებული, შედგება 266 ფურცლისაგან, რომელთაგან 24 ფურცელი (ქალაქისა) შემდეგშია დავით რექტორის მიერ დამატებული. ძველი ხელნაწერის ზომაა  $21 \times 14$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა —  $18 \times 10$  სმ.

ანდერძი ხელნაწერს აღარ შემორჩენია ნაკლულებანობის გამო თავისა და ბოლოს. გადაწერის მიერ შეგნით გაკეთებულ მინაწერებში ხშირად იხსენიება არსენა, ათონის მოღვაწე, ასე რომ, იგი, საფიქრებელია, ათონური წარმოშობისა იყოს. ხელის მიხედვით ხელნაწერი XI ს.-ის პირველი ნახევრისად უნდა მივიჩნიოთ.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტი იოანე სინელის კლემეპსიდანაა, სახელდობრ, თავი დან, რომელიც ასეა წარწერილი: „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესი დაუღდებისათჳს ჯორცთა და სულისა, თავი კჳ“.

აღწერილობისათვის იხ. თ. ყორღანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I. თბილისი, 1901 წ. გვ. 287-88.

ტაბ. 72 (A 840). — სვინაქსარი.

ნუსხა-ხუცურით ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი შეიცავს 191 ფურცელს. მისი ზომაა  $28,5 \times 21,7$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $21 \times 13,7$  სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...დასრულდა განგება თვეთა წელიწდისათაა ჳელითა გლახაქისა და ფრიად ცოდვილისა ათანასისითა... ღმრთისათჳს ლოცვა ყავთ გლახაქისა გიორგისათჳს, რომელიცა იკითხვიდეთ, გინა სწორდეთ, რამეთუ, ღმრთიან იცის, ფრიადი ლუაწლი და კირი მინახავს ამისა თარგმანსა... წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა... ათანასესთჳსცა, რამეთუ ფრიადითა კირითა და გულსმოდგინებითა გარდამოწერე მესამისა წიგნისაგან მეოთხედ წიგნად... დიდდ მიხარკებია სიმართლჳ და სიტყვსა არაშეცვალემაჲ, ამისთჳს რამეთუ ფრიად საკრველი წიგნი არს და სულთა სარგებელი და ეკლესიისა წინამძღუარი უტომელი...“ (171). აქიდან ჩანს, რომ ეს წიგნი (სვინაქსარი) უთარგმნია გიორგი (მთაწმიდელს), ხოლო გადაწერისათვის ათანასეს. მეოთხე ცალი ყოფილა ეს ნუსხა ათანასეს გადაწერილობაგან. მაგრამ სად და რა დროს არის გადაწერილი, არაა ნათქვამი. ხელის მიხედვით იგი XI ს.-ის პირველი ნახევრისა უნდა იყოს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. მ. ჯანაშვილის Описание рукописей церковного музея, ტ. III, თბილისი, 1908 წ., გვ. 51-53.

ტაბ. 73 და 74 (S 391). — მარტვილის ოთხთავი.

ეს ოთხთავი, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ (ტაბ. 18 და 19), ორნაირი ხელით არის ნაწერი: ასომთავრული ხუცურითა (1--130 ფურც.) და ნუსხა-ხუცურით (131--184 ფ.). ერთიცა და მეორეც ნაწერია ორ სველად ეტრატზე. უკანასკნელის ზომაა  $24 \times 20$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $16,7 \times 6,5$  სმ. (ცალი სვეტიცა).

ნუსხა-ხუცურით ნაწერი ნაწილს მოეპოვება ანდერძი: „სახელითა მამისათა... მე ივანე თარჯანიანმან დავიწერე წმიდაჲ ესე სახარებაჲ სალოცველად თავისა და სულისა

ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთა... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ გელითა... იოვანე მესუეტისათა... ქრონიკონი იყო სო ...“ ამრიგად, მომგებელი ამ ნუსხისა არის ივანე ფარჯანიანი, რომლისათვის ის დაუწერია იოვანე მესუეტეს 1050 წელს.

ტაბ. 75 და 76 (A 484).—ალავერდის ოთხთავი.

ნუსხა-ხუტურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, ევთიმე ათონელისეული რედაქციის ეს ოთხთავი შეიცავს 324 ფურცელს. ხელნაწერის ზომაა  $24 \times 19$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა —  $16 \times 5$  (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...ღირს მყო მოგებად ყოვლად წმიდისა ამის სახარებისა მე ცოდვილი სვეონ, სიტყვათა ოდენ მღდელი... დაიწერა კალიპოსს, ლავრასა წმიდისა ღმრთის-წმობელისაჲსა, მეფობასა კოსტანტი მონამახსნასა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა, და ბაგრატის, აფხაზთა ჩეფისა ნოველისიძოსისა საწეფოსა ყოფასა...“ (311 v.—313 v.). მართალია, ამის შემდეგ კიდევ სწერია სიტყვები: „ქრონიკონი იყო“-ო, მაგრამ რიტუები ჩაწერილი არაა. ნუსხის დაწერის თარიღი, ნაშასადაც, სავა მანიშნებლებით უნდა გაირკვეს, კერძოდ ანდერძის იმ გამონათქვამზე დაყრდნობით, რომელიც ამბობს: „დაიწერა... ბაგრატის, აფხაზთა მეფისა ნოველისიძოსისა სამეფოსა ყოფასა“-ო. ისტორიკიდან ცნობილია, რომ ბაგრატ IV კოსტანტინეპოლს, სამეფო კარზე, 1054 წ. იყო და, ამრიგად, იგი უნდა მივიჩნიოთ ამ ღრობის ხელნაწერად. ის, როგორც იქვეა აღნიშნული, დაუწერათ კალიპოსს (ანტიოქიის მახლობლად), რაც მოუგვა ვინმე სვეონ მღდელს. ვინ არის ვადაწერი, ამას ცალკეული მინაწერებუდან ვიტყვობთ. ასე, მაგალითად, 241 v.-ზე ვკითხულობთ: „გასრულდა ესეცა თავი სახარებისაჲ... გელითა ფრიად ცოდვილისა გიორგისითა“-ო, ანდა 323 v.-ზე სწერია: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, სულისა საწყვალბელისა ცოდვილისა ბერისა იოვანე დვალისათს უტვად მჩხრეკალისა“-ო და სხ... როგორც ვხედავთ, ხელნაწერი რაწდენიმე პირს ვადაუწერია.

მოიპოვება სხვა საგულისხმო მინაწერებიც, ლიპარიტ ერისთავთა-ერისთვის ძეს ივანეს რომ შეეხება, მაგრამ ისინი ჩვენი ნუსხის აღმოცენებისათვის ახალს არას გვაწვდიან.

ოთხთავების ძველი რედაქციების ისტორიისათვის მინაწერები მეტად ძვირფასია. მათში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ეს ნუსხა ევთიმე ათონელისეული რედაქციისაა.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს ლუკას სახარებას, სახელდობრ: 19,3-20; 19,29-37 (ტაბ. 75); 19,37-44; 20,3-11 (ტაბ. 76).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჯორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. II, თბილისი, 1902 წ., გვ. 46-51.

ტაბ. 77 და 78 (A 97).—სვინაქსარი.

გიორგი მთაწმიდისეული სვინაქსარის ერთი უძველეს ხელნაწერთაგანი, შესრულებულია ნუსხა-ხუტური ხელით. ხელნაწერი შედგება ეტრატის 389 ფურცლისაგან. მისი ზომაა  $27 \times 20$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $20 \times 13,5$  სმ.

ვადაწერის ანდერძი ნუსხას არ შემორჩენია, ნათარგმნელისა კი: — „ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთს, ფრიადი ლუაწლი და კირი მინახავს ამისსა თარგმნასა... სიმართლე დიად გვხარებია და სიტყუსა არაშეცვალება, ამისთს რაჰეთუ ფრიად საკრძალავი წიგნი არს და სულთა სარგებელი და ეკლესიისა წინამძღუარი უცთონელი... ხოლო რომელნი სწერდეთ, სიტყუასა ნუ შესცვალებთ, ნუჲა სახელსა, ღმრთისათს“ (312 გვ.). აქვე, გასწვრივ აწიხაზე სინგურად მიწერილია: „ესე ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა არს, ვინცა სვინაქსარსა სწერდეთ, [ნუ დაადებთ]“. ხელის მიხედვით ნუსხა XI ს.-ის მეორე ნახევრისა შეიძლება იყოს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჯორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 115-16.

ტაბ. 79 და 80 (A 257).—ოთხთავის თარგმანება.

ოთხთავის თარგმანების ნაწყვეტი, ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად ეტრატზე ნაწერია, 9 ფურცლისაგან შედგება. მისი ზომაა  $39,4 \times 30$ , ხოლო ნაწერისა —  $31,5 \times 10$  სმ. (ცალი სვეტისა).

ანდერძი ნუსხას არსად მოეპოვება. ხელის მიხედვით XI ს.-ის მეორე ნახევრისა უნდა იყოს.

ტაბულეზზე აღბეჭდილი ტექსტი გვაწვდის განმარტებებს მათეს სახარების ადგილებისას: 12,41 და 12,42. ეტყობა, უნდა იყოს იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანება, რომელც ევთიმე ათონელმა გადმოიღო.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჯორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 267—68.

ტაბ. 81 (A 845).—შავიმთის ოთხთავი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, შეიცავს 306 ფურცელს. მისი ზომაა  $16,3 \times 12,8$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა —  $12,2 \times 4$  სმ. (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება შემდეგი ანდერძი: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავის მთასა, უდაბნოსა ლერწმისკვეისასა, ზღვს პირსა, რომელ არს დასასრულსა შავის მთისასა მახლობელად სელევკისა, ჳელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვლისა შავ ზაქარიასითა, მადლითა და ლოცვითა მოძღურისა ჩემისა საბა პრაკობე-წმიდელისაჲთა, რომელი მკვდრ იყო მონასტერისა წმიდისა სუმეონ საკრველთ-მოქმედისასა... და მოწაფესა მისსა დანიელს შეუნდევნ ღმერთმან ბრალნი მისნი, ამინ“.

„ნიკოლას ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათვს და წყალობისა. მისითა დელითა დავეწერე, რომელი მას დაეწერა გიორგი მთაწმიდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძელთა სახარებათადა შეემოწმა მესამედ; ორჯელ პირველ შეემოწმა, ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათვს, ამინ“.

„და მე შემინდევით ღმრთისათვს, უტბად და უმეტრად ჩხრეკისათვს, სხუაჲ ღონე არა მაქენდა, საფსისიან განახალ ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა...“ (305 რ.).

როგორც ვხედავთ ეს ოთხთავი შავი მთიდანაა. დაუწერია ის ენიმე შავ ზაქარიას, რომელსაც სახსარი იმდენი არა ჰქონია, რომ სხვისათვის დაეწერინებინა. დედანი ამ ნუსხისა ყოფილა გიორგი მთაწმიდელისაგან ბერძნულზე შემოწმებულთაგანის გადმონაწერი.

როდის არის გადაწერილი ეს ოთხთავი, ანდერძიდან არ ირკვევა. ხელის მიხედვით კი ის შეიძლება XI ს.-ის მეორე ნახევრისად ჩაითვალოს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს მარკონის სახარებას—9,5-12.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. მ. ჯანაშვილის Описание рукописей церковного музея, ტ. III, თბილისი, 1908 წ., გვ. 59-67.

ტაბ. 82 და 83 (A 558).—ათონის კრებულო.

ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა ნაწარმოების კრებულს წარმოადგენს, ნაწერია ნუსხა-ხუცურით ეტრატზე და შეიცავს 211 ფურცელს. მისი ზომაა  $19,4 \times 11,5$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $16 \times 9,7$  სმ.

ხელნაწერს მოეპოვება გადამწერის ანდერძი: „შეწვენითა ყოვლად წმიდისა სამებისაჲთა... მადლითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳნი მთაწმიდლისაჲთა მე, გლახკმან სულითა და უნდომან ჳორცითა მიქაელ დადალისონელმან, სახითა ხოლო მონაზონმან, დავეწერე ცხოვრებაჲ განმანათლებელისა ჩუენისა ეფთჳვე ქართველისა ახლისა ოქროპირისაჲ და მერმე... ქადაგებანი და მიმოსლვანი დიდებულისა ჳმრთის-მეტყუელისა და მახარებელისა იოანესნი, მამასახლისობასა გიორგი ოლთისარისაჲსა, დეკანოზობასა იაკობ მღვდლისასა, განწრაზებითა“.

მისითა, თვნიერ სასყიდლისა და ყოვლისავე საფასოვსა... ეტრატი იაკობ დევანოზნიან მოილო. ფარჩხად წერისათჳს შემინდევით, რამეთუ მესამესა წელსა ბოსტანსა მას და დასასრულსა ჰასაქოთასა შინა ვიქციოდე. აწ თუ ესეცა გარდავლო და მიწად მოიქცე და ყოვლითურთ უკმარ ვიქმნა, ხოლო თქუენ ნამუშავეი რაჲ იხილოთ, მუშაკი გვესენედ, რაჲთა თქუენცა მოვიკენენს ქრისტემან... ქრონიკონი იყო, ოდეს დაიწერა—ორას ოთხმე-ოცდა ათოთხმეტი.

დაიწერა ამასე წმიდასა ლაერასა წმიდისა ეფთჳშის მიერ აღწენებულსა, ბურლოსა შინა, სადა თუთ მას წმიდასა დაუყოფია. და ვინცა ვინ ესე წიგნაჲ ამას წმიდასა ეკლესიასა რაჲთაცა მიხეზითა გამოაქუას, რაჲელსა შინა სწერია წმიდისა მამისა ჩუენისა ცხოვრებაჲ და მერმე აღაპნი და მერმე ქადაგებანი მოციქულისანი, იგიმცა ნუ არს კურთხეულ, და ვინცა ვინ რაჲთაცა არავს და შეამოსიოს, კურთხეულ იყავნ იგი, ამინ<sup>4</sup>.

აქიდან ირკვევა, რომ ეს კრებული დაუწერია მიქაელ დადასისონელს 1074 წელს, ათონს, ქართველთა მონასტერში, ეთიმეს მიერ აშენებულ ბურლოში, ე. ი. კოშკში:

ტაბულეზზე აღბეჭდილი ტექსტი იოანე მახარებლის ცხოვრებდანაჲ, რომელსაც ასეთი სათაური აქვს წარწერილი: „ცხოვრებაჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთის-მეტყუელისაჲ, აღწერილი პროზორეს მიერ მოწფისა მისისა; ერთისა შუდაგანისა, ძმისწულისა წმიდისა სტეფანე პირველმწამისა. თარგმნილი წმიდისა მამისა და განმანათლებელისა ჩუენისა ახლისა ოქროპირისა ეფთჳცე მთაწმიდელისაჲ“ (179 გვ.).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ყორღანიას Описание рукописи перекрестного языка, ტ. II, თბილისი, 1902 წ., გვ. 85-86; ნ. ბერძენიშვილი, ათონის კრებულის რედაქცია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI-III, გვ. 25-40.

ტაბ. 84 (H 1350).—საწინასწარმეტყველო.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, შეიცავს 77 ფურცელს (ნაწყვეტია). მისი ზომაა 24,8 × 18 სმ., ხოლო ნაწერისა—18,5 × 11,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „... დაესრულა საწელიწდოჲ საწინასწარმეტყველოჲ წესსა ზედა ბერიძელსა, ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ, სრული ყოვლითურთ და უნაკლულოჲ.

მე, სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინასწარმეტყველოჲ დიდებულისა ლაერისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღმრთივ გჯგჯგნოსანთა ნეტეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სვესტოსისა... და კულად სალოცველად ძმათა ჩენთა იოანე კყონდიდელ მთავარ-ეპისკოპოსისა და სინგლოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართა უხუცესისა; და ჩემ ცოცვილისადა ეგნატისათჳს ლოცვა ავით... ქრონიკონი იყო ტ და ე. დაიწერა მოსე ხუცისა ხანტელისა გელითა“ (77 რ-რ.).

როგორც აქიდან ირკვევა, ეს ხელნაწერი გადაუწერია მოსე ხუცესს, ხანძთელს, ეგნატის დაკვეთით, 1085 წელს. იგი ბერძნულიდან ნათარგმნი ყოფილა გიორგი ათონელის მიერ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი საკითხავია ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან (40,10-14), რომელიც იკითხვისო „თუესა აგუსტოსსა კთ: თავის კუეთაჲ წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისაჲ, წინა დღით მწუხრსა“.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საენოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)“. შუდგენილი. ქრ შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, ტ. III, თბილისი, 1948 წ., გვ. 306; თ. ყორღანიას, ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 1892 წ., გვ. 232-233

**ტაბ. 85 (A 136).—ოთხთავის თარგმანება.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ორ სვეტად კარგ ეტრატზე, შეიცავს 391 ფურცელს. მისი ზომაა 36,7 X 26,7 სმ., ხოლო ნაწერისა—29,3 X 8,2 (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება შემდეგი ანდერძი: „...ღირს ვიქმენ მე, უღირსი ეგნატი, სახელით ოდენ ხუცეს-მონაზონი... აღწერად წმიდასა ამას წიგნსა, თარგმანებასა წმიდისა სახარებისასა... ღმრთივ აღშენებულსა უდაბნოსა შინა წყაროასთავს, სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ეფთვნესსა, რომლისადაცა ფერკთა თანა აღზრდილ ვიყავ, და შეეწირე ეკლესიასა წყაროასთავისასა ... საღიღებელად და სალოცველად ღმრთივ გავგზნოსანთა მეფეთა ჩუენთა ... დედოფლისა მარიამისა და ძმისა მათისა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა, და ძისა მათისა დავით მეფისა და სევესტოსისა, და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა, და გამზრდელისა ჩემისა მამისა ეფთვესა და ყოველთა მამათა წყაროასთაველთა...“ (391 r.).

როგორც აქიდან ჩანს, ოთხთავის ეს თარგმანება, გადაწერილია წყაროსთავს (კლარჯეთს) ეგნატე ხუცეს-მონაზონის მიერ, მაგრამ როდის—ნათქვამი არაა. შიგ მოხსენებული მეფეები წინა ხელნაწერის ანდერძშიც ამნაირადვე იყენენ ჩამოთვლილი, ამიტომ ამ ხელნაწერის აღმოცენება შეიძლება იმავე ხანას მიეკუთვნებოდეს, რასაც წინა, ე. ი. XI ს.-ის 80-იან—90-იან წლებს (თ. უო რ დ ა ნ ი ა 1089—1091 წ.წ. შორის დებს დაწერის თარიღს).

სხვათა შორის, წინა ხელნაწერის ანდერძშიც ეგნატე იხსენიება ხელნაწერის მომგებელად, მხოლოდ იქ არა ჩანს, თუ რა წოდების პირია ის. რადგან ხანა და მოღვაწეობის ადგილი (ხანთა, შატბერდი, წყაროსთავი—კლარჯეთი) ერთი და იგივეა, ამიტომ შეიძლება ორივე ხელნაწერი ეგნატე წყაროსთაველის სახელთან იქნეს დაკავშირებული.

ტახტულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანებს, რომელიც ქართულად ევთიმე ათონელმა გადაწერა. აქ განმარტება ეხება მთ (49) თავს, მათეს სიტყვებს: „ვითარცა შემწუხრდა, მოჰქცეს მოწაფენი...“ (14,15-21).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. უო რ დ ა ნ ი ა ს Описаніе рукописи перекладача мѣст, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 144; მისივე, ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 1892 წ., გვ. 234-235.

**ტაბ. 86 (A 93).—პარაკლიტონი.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, 207 ფურცლისაგან შედგება. მისი ზომაა 34 X 24,3 სმ., ხოლო ნაწერისა—28 X 17 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, ადიდე წმიდაა მამაა ჩუენი გიორგი მთაწმიდელი, რომლისა შეწევნითა დავენუსხე წმიდაა ესე და სულთა განმანათლებელი პარაკლიტონი...“

მე, უღირსი და ფრიალ საწყალობელი ... უღებთ, დაქსნილი ათანასე, არვანდ ყოფილი, ღირს ვიქმენ დაწერად და აღსრულებად ... დიდებასა ყოველთა ეკლესიათასა წმიდასა ამას პარაკლიტონსა სრულსა და უკლებსა, ვითა ვთარგმნა წმიდასა მამასა გიორგი მთაწმიდელსა... და შეეწირე უნდოა ესე ნამუშავეი ჯელთა ჩემთაა ... წმიდასა იოვანეს წინამორბედსა... ხოლო თქუენ, ღმერთშემოსილნო წმიდანო მამანო, აჲ მყოფნო და კუალად მომავალნო, დიდებულისა და სახელ განთქუმულისა ოპიზისა მკვდრნო... იხილოთ რაა ნამუშავეი ესე ჯელთა ჩემთაა, თქუთ სიტყუაა წყალობისაა... დაიწერა ქრონიკონსა 686, დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზის. დედაა გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისაგან დაწერილი მქონდა, მაგრამ ეზომ წურტილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თვისა თმისა ჰგვანდა და მე კაცი ვიყავ მოდღეუნებული...“



აქ მოყვანილი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ხელნაწერი, რომელიც პარაკლიტონს წარმოადგენს, გადაუწერია თვით მისი მთარგმნელის—გიორგი ათონელის—ხელნაწერის პირიდან, რაიზას, ათანასე ბერს, არეანდ ყოფილს (ე. ი. ერისკაცობაში რომ არეანდი ჰრქმევია), 1093 წ. და შეუწირავს რაიზისავე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიისათვის.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 95.

**ტაბ. 87 (A 1106).—მამათა ცხოვრება.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ნაწერი, შედგება 458 ფურცლისაგან. ნაწერია ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა  $24 \times 17$  სმ., ხოლო ნაწერისა  $21 \times 6$  სმ. (ცალი სვეტისა).

გაღამწერის ხელით შესრულებული მინაწერები ხშირად იპოება ხელნაწერში. ერთი მათგანი შემდეგს გაღმოგვეყვს: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო ცოდვილისა თეოფილწ რსცა თარგმანისათჳს, რამეთუ ცოდვანი ერთბამად ყოველთანი მქონან, ხოლო სინანულსა ერთისასაცა ყოვლად არა ვახლავ... და ბერი კლიმი აკურთხეთ ყოველთა, რამეთუ შემდგომად ღმრთისა და წმიდათა მისთა მისითა მოღუწებითა ითარგმანების წმიდად ესე და სულთა საცხორებელი წიგნი, საუკუნომცა არს საქსენებელი და კურთხევად მისი, ამინ“. აქიდან ირკვევა, რომ მთარგმნელი ამ თხზულებისა, რომელიც მამათა ცხოვრებად იწოდება (ე. ი. პატერიკად), არის თეოფილე, ხოლო მისი ხელის შემწყობი—ვიწმე ბერი კლიმი. თეოფილე თარგმანე თეოფილე ხუცესმონაზონია, რომელიც ათონს მოღვაწობდა XI ს.-ის უკანასკნელ მეოთხედში.

სად, როდის და ვის მერე არის გადაწერილი ეს ნუსხა, არ ირკვევა (ბოლოს თუ ეწერა; ეს ბოლო ნუსხას აღარ გააჩნია), ხელის მიხედვით კი XI ს.-ის მიწურულისა უნდა იყოს.

**ტაბ. 88 (S 1608).—ოთხთავის თარგმანება.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, 28 ფურცელს შეიცავს (ნაწევრები დიდი ხელნაწერისა). ხელნაწერის ზომაა  $27,5 \times 20$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $22,5 \times 6$  სმ. (ცალი სვეტისა).

არც გაღამწერი და დამკვეთი, არც დრო და ადგილი ხელნაწერის დაწერისა არ ვიცით, რადგან ფარგმენტს არც მინაწერი და არც ანდერძი არ გააჩნია. ხელის მიხედვით კი ის XI ს.-ის მიწურულისაა.

ნუსხა წარმოადგენს ოთხთავის განმარტებას: სახელდობრ, მათეს სახარებისას, რომლის აეტორად იოანე ოქროპირია ცნობილი, ხოლო ქართულად მთარგმნელი ევთიმე ათონელია. ტახულაზე აღბეჭდილი ტექსტი ამ თხზულებისა მერეუ თავიდანაა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „სწავლაჲ მ, ცხორებისათჳს მონაზონთაჲსა“, სადაც ჳანმარტებულია მათეს სახარების ადგილები 2,19-23.

**ტაბ. 89 (A 24).—გარდამოცემა მართლმადიდებელთა ხარწმუნოებისა იოანე დამასკელისა.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ორ სვეტად ნაწერი, შედგება 147 ფურცლისაგან. მისი ზომაა  $21 \times 16$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $18,2 \times 7,5$  სმ. (ცალი სვეტისა).

ხელნაწერი წარმოადგენს თარგმანს იოანე დამასკელის თხზულების წყარო ცოდნისას, რომელიც ეფრემ მკირეხ ეკუთვნის, როგორც ეს თხზულებისათვის წარმძღვანებული წინასიტყვაობიდანაც ჩანს. მისი დაწერის დრო და ადგილი, ისე როგორც გაღამწერი და დამკვეთი, ანუ მომგებელი, უცნობია.

ტახულაზე აღბეჭდილი ტექსტი წიგნის მეორე ნაწილიდანაა, რომელიც ასეა წარწერილი: „ღირსისა მამისა იოანე ხუცეს-მონაზონისა — გარდამოცემაჲ უცილობელი

მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ<sup>2</sup>. იმ თავის სათაჳრი კი, საიდანაც აღებულა დასახელებული ტექსტი, ასეოია: „ჩუენ შორას მყოფთათჳს, ესე იგი არს თჳთმფლობელისა. თაჳი ლთ“.

ხელნაწერის აღწერილობის თჳს იხ. თ. ყორღანიას Описаніе рукописей церковного музея, ტ. I, თბილისი, 1931 წ., გვ. 17-19.

**ტაბ. 90 და 91 (S 1661).—ხვინაქსარი.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით კარგ ეტრატზე ნაწერი, შედგება 339 ფურცლისაგან. მისი ზომაა 24,5 × 19 სმ., ხოლო ნაწერისა 19,3 × 14 სმ.

ხელნაწერს მოეპოება ანდერძი: „დაიწერა წიგნი ესე წმიდასა ქალაქსა ისრუსალემსა, მონასტერისა შინა ჯუარისასა, ჳელითა უტბად მხრეკალისა ფრიად უღორისსა ხუცეს-მონაზონისა გიორგი დოდისითა. სრულ იქმნა... ესე წიგნი ბერძენთა ზედა მფეფობასა მანოლისსა, ქართლს—ღმირტრისსა... დასაბამითგანნი წელნი იყენეს ზღნთ...“ (338 v.).

ამრიგად, ხელნაწერი, რომელიც გიორგი ათონელის რედაქციის ხვინაქსარს წარმოადგენს, გადაუწერია ჯუარის მონასტერში, იერუსალიმს, 1155/6 წელს გიორგი დოდისს.

**ტაბ. 92 (A 65).—ზოდიაკოთათვის.**

ხელნაწერი, რომელიც სხედასხვა ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, ნაწერია ქალაღღზე ორნაირი ხელით: ნუსხა-ხუცურითა და მხედრულით (უკანასკნელით შესრულებულია მარტო 36 გვ., დანარჩენი ნუსხა-ხუცურით ნაწერს უქირავს).

გადამწერის ანდერძი ხელნაწერს არ ახლავს. ხელნაწერის დაწერის თარიღის განსაზღვრავად გამოსაყენებელია კრებულის შემადგენელი ერთი სტატია, სახელდობრ,—კენიკლოსი, რომელშიც იკითხება: „...წელნი ქრისტესითგან ვიდრე მოაქამდე,—ქართულნი ვთულაღთ წელიწადსა ჩხი, ხოლო ჯუმღად ყოველნი წელნი აღამისითგან დღესამომდე, ოღეს ესე დაიწერა ზღფე, ქრონიკონი ჯჳ“. აქიდან პირველი სათარიღო ნიშანი 1210 წელს უდრის, ხოლო დანარჩენები 1188 წელს. ნუსხა, მაშასადამე, დაწერილია 1188—1210 წ.წ.

ხელნაწერს მოეპოება გადამწერის ვინაობის მაუწყებელი მინაწერიც: „შემინღე-ვით, ღმრთისა მადლსა, ვინცა იკითხვიღეთ, ნე მწყვეთ, ფიცხლა მიჩრეკია მე, გლახკსა ისაიას“.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი კრებულის იმ ნაწილიდან არის, რომელიც შვიცკეს სწავლას ზოდიაკოთა შესახებ.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ყორღანიას Описаніе рукописей церковного музея, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 59—65; ა. შანიძის პალეოგრაფიული რკვეული: თარგანებთა ქებისა ჳებათაჲსა, თბილისი, 1924 წ., წინასიტყვაობა.

**ტაბ. 93 და 94 (A 1835).—ვანის ოთხთავი.**

ასეთ სახელწოდებას ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად კარგ ეტრატზე ნაწერი ეს ოთხთავი იმის გამო ატარებს, რომ ის სოფ. ვანიდან (იმერეთიდან) არის შესული სიძველეთსაცავში. ნუსხა შედგება 272 ფურცლისაგან. მისი ზომაა 29 × 21 სმ., ხოლო თვით ნაწერისა—19 × 5,2 სმ. (ყალკე სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოება მისი დამწერის ხელით შესრულებული რამდენიმე მინაწერი: 1. „წმიდანო მხარებელნო, განმადღიერეთ ცოდვილი იოანე, რომელმან ფრიაღსა უღლურებასა შინა მყოფმან ჳელ-ყავე წერით მოსაქმებად წმიდისა ამის სახარებისა“ (126 v.); 2. „...ხოლო ჩუენთა ამათ შინა ეამთა დიდი მოღუაწეთა შორის ბერი ჳაქარია, მი-რადე-ვიდა მთასა წმიდასა, ძიება ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათჳს; და პოა დიდასა წიგნისა საცაჳსა შინა და აღიესო სიხარულითა, და მიერ გაღმოეწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანესს. და აღმო-რადე-ვიდა რომანას, მე ჳელ-ყავე, ცოდვილ“.

მან იოანე, აღწერაღ, რამეთუ ადრითგან სწყუროდა სულსა ჩემსა მოგებად წმიდისა სახარებისა. აწ ვინსა სწერდეთ, ვიოა აქა ჰპოთ, ეგრე დაწერეთ წინტილითა და პატრეთა ზედა მეორითა სიტყვათა, რანეთუ ანდერძი ვიოა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“ (266 v.); 3. (მხედრულად) „ესე სახარებაჲ მე, იოანე უღირსმან, საპაქარმან ლა მლოცველმან წმიდის დედოფლის თამარისმან, ვიოფლე წერით ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლის. ლოცვაჲ-ყავთ ყოველთა“ (272 v.).

როგორკ ამ მინაწერებიდან ვიტყობთ, ეს სახარება დაუწერია კონსტანტინეპოლს, რომანას, უღირსსა, საპაქარსა და მლოცველსა დედოფლისსა თამარისსა: იოანეს. ამ ნუსხის დედანი გადმოწერილი ყოფილა შატბერდელი ხუცის სტეფანეს ხელით მთაწმიდან, დიდ წიგნის საცავეში, ვინმე ზაქარიას მიერ მიკვლეული გიორგი მთაწმიდელისაჲან აღწერილი“. ცალიდან.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი მათეს სახარებიდანაა, სახელდობრ: 17,3-20.

ტაბ. 96 (ღ 902). — მოქვის ოთხთავი.

ასეთ სახელწოდებას ნუსხა-ხუცურით კარგ ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი ეს ოთხთავი იმის გამო ატარებს, რომ მოქვიდან (აფხაზეთიდან) არის ჩამოტანილი მუხეუმში. ნუსხა შედგება 326 ფურცლისაგან. მისი ზომაა 29,5 X 23 სმ., ხოლო ნაწერისა — 21,5 X 7 სმ. (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოება ანდერძი: „...დაიწერა ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა ხმად ქართულითა სათულავეითა, და ბერძულად—ხეშ, ქრონიკონსა ფე, ზენდაფებსა მთოვარისასა ვ, მცხრალსა ზ, ინდიკტიონსა იგ, ხუთეულსა ლ, ექუსეულსა ლგ, მშისა მოქცევსა ლ, მთოვარისა მოქცევსა ვ, ველითა ჩემ ფრიალ ცოდვილისა ეფრემისითა“. აქიდან ნათლად ჩანს, რომ ხელნაწერი დაუწერია ვინმე ეფრემს 1300 წელს. სად და ვისი დაკვეთით—არაა ნათქვამი არც ანდერძში და არც სხვა მინაწერში.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ლუკას სახარებიდანაა, სახელდობრ: 19,22-36.

ტაბ. 96 (H 1344). — შიომღვიმის ოთხთავი.

ასეთ სახელწოდებას ეს ოთხთავი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, იმის გამო ატარებს, რომ ის დაწერილია შიომღვიმეს. შედგება ის 264 ფურცლისაგან, რომელთაგან ეტრატზე ნაწერი (ე. ი. ძველი ნაწილისა) არის 255 ფურცელი. ამის ზომაა 22 X 16,5 სმ., ხოლო ნაწერისა — 16,5 X 5,5 (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოება ანდერძი: „...ესე წმიდაჲ და საწაღელი სახარებაჲ მოვიგე და დაეწერე ველითა ჩემითა მე, გიორგი, სულითა საწაღობელმან, სახითა ოდენ მონა ზონ-ხუცესმან... ღმერთო მეუნდვენ ყოველნი ცოდვანი გიორგის, ამის წმიდისა სახარებისა მწერალსა, ამინ. დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დიდსა უდაბნოსა მღვმლისასა, საყოფელსა წმიდისა და ღმერთმემოსილისა მამისა შიომღვისა. ხოლო ქრონიკონისა წელნი იყვენს ვე, წელნი, რომელ გარდასრულ არიან დასაბამითგან ვიდრე ჯუარტუმამდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ესრეთ იცნობების: კფლდ. ხოლო შემდგომად ჯუარტუმისა ვიდრე მოაქამომდე ჩხო, ერთ რიცხულად ყოველნი წელნი დასაბამითგან აქამომდე ხუდ“ (254 r).

ამ ადგილიდან ჩანს, რომ სახარების ეს ნუსხა დაუწერია გიორგი ხუცეს-მონაზონს შიომღვიმეში. პირველი სათარილო მაჩვენებელი დაწერის დროდ ასახელებს ქრონიკონს ვე-ს, ე. ი. 1185 წელს, ხოლო მეორენი—1304 წელს. უკანასკნელი უფრო სწორი უნდა იყოს ხელის თვისების მიხედვითაც. პირველი შეიძლება ამ ნუსხის დედნის დაწერის თარიღი იყოს (აქ შემთხვევით გადმოყოლილი).

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი მათეს სახარებიდანაა, სახელდობრ: 27,53-63.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუხეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)“, შედგენილი ქრ. შარაშაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948 წ., გვ. 289-291,

**ტაბ. 87 (A 570). — ბიზლია.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ორ სვეტად ნაწერი, შედგება 144 ფურცლისაგან. მისი ზომაა 29,5 × 23 სმ., ხოლო თვით ნაწერისა — 22,5 × 6,7 (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს ანდერძი არ შემორჩენია. მასში ვაჟოულობთ რამდენიმე მინაწერს, რომელთაგან ირკვევა გადამწერის ვინაობა და ხელნაწერის დაწერის დრო. — 1. „დაესრულა ნემშტაჲ პირველი, ცოდვილსა გიორგის შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“ (55 v.); 2. „აქა დაბნელდა ღლე ასრე, რომე წერაჲ აღარა იქნებოდა და ვალატოზნი [ველარა ჰხედვი]დეს საქმესა. თუე იყო ივლისი, ღლე პარასკევი, თუშ თურამეტი, ქრონიკონი რმშ; თუ რაჲ მოჰქედების; ღმერთმან უწყის“ (444 r.). ამრიგად, ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი დაწერია ვინმე გიორგის 1460 წელს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი II ნემშტადან არის, სახელდობრ: 19,4—20,6.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. გორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, გვ. 90.

**ტაბ. 96 (A 351). — დავითნი.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, შედგება 167 ფურცლისაგან. მისი ზომაა 10 × 7,5 სმ., ხოლო ნაწერისა — 7,7 × 5,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...სრულ იქმნეს წმიდანი ესე დავითას ფსალმუნნი ბრძანებითა დიდისა წარჩინებულისა თუთმპყრობელისა პატრონის ყუარყუარეს ძისა, მგნისა და ახოვნისა პატრონის მზეკაბუკისითა, რომლისა მრავალშუა არიან წელნი სუფევისა მათისანი და ვსენებაჲ მისი მოუკლებელ ყოს ღმერთმან სიმრავლესა შინა ეამთასა, ამინ.“

აღწერილინენ წმიდანი ესე დავითნი მე, მონაზან და მოსაგზან ქრისტეს ღმრთისამან მზეკაბუკ, საჯსრად და საცოდ სულისა ჩენისათს და შესანდობლად მშობელთა, ძმათა და ნათესავთა ჩემთათს. აწ ვინცა მიემთხვენეთ, ესრეთ შენდობასა ბრძანებლით: პატრონსა დედისიმედსა ცოდვანი მისნი შეუნდვენს ღმერთმან; პატრონი ყუარყუარე აღღეგრძელე და ცოდვანი მისნი შეუნდვენს ღმერთმან; პატრონსა ქაიხოსროს შეუნდვენს ღმერთმან; პატრონსა მზეკაბუკს შეუნდვენს ღმერთმან; პატრონსა ბადურს შეუნდვენს ღმერთმან... გაათავდეს ქრონიკონსა რჰბ, აპრილსა კე, კელითა ფრიად ცოდვილისა მწერლისა ამბროსისითა...“ (164 v.).

აქიდან ნათლად ჩანს, რომ ეს დავითნი დაწერია ამბროსის 1494/5 წელს მზეკაბუკ ათაბაგის დაკვეთით.

ტექსტზე აღბეჭდილი დავითნის ტექსტია — 43,2-17.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. გორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 350.

**ტაბ. 99 (A 401). — ვალეს ოთხთავი.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ორ სვეტად ნაწერი, შედგება 509 ფურცლისაგან. მისი ზომაა 21 × 15,5 სმ., ხოლო ნაწერისა — 15 × 4,7 სმ. (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „ღმერთო ... პატრონი სფერიდონ აცოცხლე და აღღეგრძელე და ძე მათი, პატრონი იორამ, ამოდ უმყოფე... დააწერა ესე ვანწანათლებელი სულისა და ჯორცისა ოთხთავი ქორანიკონსა ორას და ორსა. ზოსიმეს ვალელსა და მისთა მიცვალბულთა შეუნდვენს ღმერთმან...“ (486 v.).

აქიდან ირკვევა, რომ ეს ოთხთავი გადაწერია ზოსიმე ვალელს 1514 წ., ალბათ, ვალეს ეკლესიისთვის.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ლუკას საბარებიდანაა, სახელდობრ: 18,26-34.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. გორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. II, თბილისი, 1902 წ., გვ. 1-2.

ტაბ. 100 (H 1721).—ოთხთავი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, შედგება 325 ფურცლისაგან. მისი ზომაა  $12 \times 8,5$  სმ., ხოლო ნაწერისა  $9,3 \times 3$  სმ. (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...მე, მეზაბ კალმახელმან, და ჩემან თანამეცხედრემან ელენე, დაეწერინეთ წმიდას ესე და სულთა განმანათლებელი ოთხთავი სამლოცველოდ სულისა ჩვენისათს და სადღევარქლოდ შეილისა... დაიწერა წმიდას ესე სახარებაჲ ქორანიკონსა სმ, მოქცევასა ნეაცამეტესა“ (324 წ.). აქიდან ნათელია, რომ ეს სახარება დაუწერიანებია მეზაბ კალმახელსა და მის ცოლს ელენეს 1520 წ., მაგრამ ეს დაუწერიანეს და სად, არაფერია ნათქვამი.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი მარჯოზის სახარებიდანაა, სახელდობრ: 9,16-30.

ტაბ. 101 (A 139).—სვინაქსარი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, შედგება 362 ფურცლისაგან. მისი ზომაა  $30 \times 22,2$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $23,5 \times 15,3$  სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...დაიწერა ჭვლითა გლახაკისა ... აბრაჰამ დავითის ძისათა, რომელი წვაროვემართე სამცხით, რომის ძირით კარჩხალით... და დაეწერე წიგნი ესე სვინაქსარი ბრძანებითა [პატრონისა] დედოფლისა თინათინისათა. დაეწერე გრემს ... თუშა დეკემბერსა ექუსსა, ქრონიკონსა სკჟ... ვათავდა ალონს, ტაძარსა შინა ნათლისცემელისასა თუშა იენისსა იბ-სა, დღესა შაბათსა, ქრონიკონს სკჟ, ზენადღესა კჟ“. აქიდან ჩანს, რომ ხელნაწერი დაუსრულებია აბრაჰამ ვადაშერს 1535 წლის 12. VI, შაბათს. თარიღი ამ ნაწილში ზედმიწევნით სწორია. როდის შეუდგა აბრაჰამ წერას? ანდერძი ამბობს, 6 დეკემბერსა, და დასძენს ქრონიკონსა სკჟ-ო, რაც შეეძლოა, უნდა იყოს — ქრონიკონსა სკჟ.

ხელნაწერი, როგორც ანდერძშია აღნიშნული, სვინაქსარს წარმოადგენს. ეს სვინაქსარი გიორგი ათონელის მიერ არის ვადმოღებული, რაც აღნიშნულია ხელნაწერშიაც (360 წ.).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей церковного музея, ტ. I, თბილისი, 1901 წ., გვ. 145-147.

ტაბ. 102 (H 1418).—გამოკრებული ოთხთავი და სამოციქულო.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, შედგება 271 ფურცლისაგან. მისი ზომაა  $26 \times 19,4$  სმ., ხოლო თვით ნაწერისა —  $19,5 \times 13$  სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...გასრულდა წმიდას ესე გამოკრებული და წართული სრული სამოციქულო და სრული სახარებაჲ... დაიწერა წმიდასა და დიდებულსა... გოლგოთასა შინა... ხუცეს-მღდელისა ოჯიქძისა დიმიტრის ქელით... დაიწერა დასაბამითგან შედითას ხუთას მგ წელსა, იესუს ქრისტეს ჯუარცუმიოვან ათას ხუთას მგ წელს“.

ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი დაუწერია ხუცესს დიმიტრი ოჯიქძეს გოლგოთასა, იერუსალიმს. დაწერის თარიღაც აღნიშნულია აქ, მაგრამ შეცდომას ვამჩნევთ შიგ. ასე, მაგალითად, დასაბამითგანი [(7546 — 5604) 1942 წ.] საუბუნისათჳს კი არ უდგება იმას, რასაც ქრისტესით გვაწვდის (1546 წ.). ხოლო უკანასკნელზე ნათქვამია „ჯუარცუმიოვან“-ო, სადაც შეიძლება აგრეთვე შეცდომა იყოს (ნაცვლად ქრისტეს დებადებითგან ანუ „განქორციელებითგან“-ო). თუ „ჯუარცუმიოვან სწორია, მაშინ ვადაშერის თარიღი წამოიწეეს და ნაცვლად 1546 წლისა იქნება (1546 + 34) 1580 წ. მაგრამ, უფრო საფიქრებელია, რომ დასაბამითგანად უნდა აღნიშნულიყო 7046, რაც აღქსანდრიული სათვალავით მოგვცემს (7046 — 5500) 1546 წ.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „ხელნაწერების აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ.-ბის ყუფ. მუზეუმის ხელნაწერები (II კოლექცია)“, შედგენილი ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1948 წ., გვ. 312-303.

ტაბ. 103 (H 1698).—მარხვანი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ორ სვეტად ნაწერი, შეიცავს 192 ფურცელს. მისი ზომაა  $39,3 \times 26,5$  სმ., ხოლო ნაწერისა —  $29,7 \times 8,5$  სმ. (სვეტისა).

ანდერძის თანხმად, რომელიც ტაბულაზე აღბეჭდილი, ეს ხელნაწერი—მარხვანი— დაუწერია აწყურს, 1538 წელს, „აწყურსა ქალაქსა და მონასტერსა აღზრდილს“ გრიგოლს ქაიხოსრო ზაალის ძე ფანასკერტელ-ციციისშვილის დაკვეთით.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თაყიდანაა, რომლის წარწერა შემდეგია: „წესი და განგებაა წმინდათა ვნებათა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა“ (109 ო.).

**ტაბ. 104 (H 342). — ვამგულანი.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღღზე ნაწერი, შედგება 652 ფურცლისაგან. მისი ზომაა 27,3 X 18 სმ., ხოლო ნაწერისა — 21 X 12,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოება ანდერძი: „წმიდანო... რომელნი ამა წმიდათა ვამგულანთა ზიემთხენეთ, მოქმეცნებდით... მე... ფრიად ცოდვალმა ფანასკერტელმა ციციისშვილმა სარდრის პალატო უხუცის პაპუნას ძემან ზაალ და თანამეცხედრემან ჩუენმან ასულმან აპირეჯიბისმან ბატონმან მარიამ ვიგულეთ... და აღვაწერინეთ წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი, უნაქლელ და ყოვლითურთ აღსრულებული ჯახულითა და დახატვითა ესე ვამგულანი სულისა ჩუენისა საიხად და ძეთა ჩუენთა საღღეგრძელოდ... შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი, შენ, საშინელსა და ცათა უმაღლესსა ვედრებისა ღმრთის-მშობელსა... დაიწერა წიგნი ესე ქრონიკონსა ტმთ“ (232 ო.).

ზაალ პაპუნასძე ფანასკერტელ-ციციისშვილის დაკვეთით 1661 წ. გადაწერილი ეს ვამგულანი გადაუწერია რამდენიმე პირს, როგორც ამას ხელნაწერის სხვადასხვა ადგილს აღნიშნული მინაწერები მოწმობს.—1. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამის მწერალი მღვდელი შიო...“ (111 ო.); 2. „სრულ იქმნა რვა ვნა. ესე, კვრამალი და ერთი მრთელი შედევლი... ბრძანებითა ციციისშვილის ზაალისითა... ჳელითა ჩემ ცოდვილისა ათანასესითა. ახლად მოსწავლე ვიყავ და, თუ რამე დამეწავებინოს, ნუ მწყვეთ...“ (319 ო.); 3. „უფალო, შეიწყალე ღრად ცოდვილი იესე ამა შაბათ კვრიკის მწერალი, ამინ. რაც ოდენ ძალმედეა, სიკეთესა და სიმართლესა და რიგს ვეცადე, უწყის ღმერთმან. უცებად წერისათხს ნუ მწყვეთ...“ (510 ო.). ამრიგად, ამ მინაწერებით, სულ მცირე, სამი გადაწერილი მანის არის გამოვლინებული: შიო მღვდელი, ათანასე და იესე.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ წიგნიდანაა, რომელიც ასეთ წარწერას ატარებს: „ოხითა იბაკონი წლისანი“.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „საქარეველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა...“ (H კოლექცია)“. ტ. I, დასაბეჭდად მიზადებული ლ. ქეთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1945 წ., გვ. 252-255.

**ტაბ. 105 (H 1719). — კურთხევანი.**

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღღზე ნაწერი, შედგება 298 ფურცლისაგან. მისი ზომაა 24,5 X 19,8 სმ., ხოლო ნაწერისა — 15,5 X 12,7 სმ.

ხელნაწერს მოეპოება ანდერძი: „...სრულ იქმნეს წმიდანი ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი — კურთხევანი ბრძანებითა ღმრთისათა და მოძღვართ-მოძღურისა წილგუჩიხელისა ილარიონისთა, ქუეყანასა ოდიშსა და მონასტერსა წალენჯიხისასა. სრულ იქმნა თვესა მარტისსა და, ქორიკონსა დასაბამითან წელთა შეიდი ათას ას სა-ნოცდათხუთვეტსა, ჯუარკმითგან ათას ექუსას სამოცდაშვიდსა. აწ გვედრები ყოველთა... უცებად ნაჩბრეკსა წყევას ნუეინ შემამთხუცეთ, ამაღ რომე აჩქარებით ვაჩხრეკიწე. ჩემი კურთხევანი დამეკარგა და მართალი დედა ვერ ვიშოვე, ზოგი აქით, ზოგი იქით გამოვებნე... და... ამის სიკეთეს ველარას გამოვეკიდე... ლოცვა ყუეთ ჩემ უღირსისათხს... თქუთ სიყვარულისათხს ღმრთისა, ვითარმედ, დაღაცათუ უნდო არს ნაწერი ესე; წალენჯიხელი ილარიონ ღმერთმან შეიწყალოს... ამის უცებად მხრეველსა უგუნურსა და დიდდ ცოდვილსა გაბრიელ მღვდელსა ბოქუჩეას ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან...“ (298 ო.).

როგორც აქიდან ირკვევა, კურთხევათა ილარიონ წალენჯიხელის თაოსნობით გადაუწერია გაბრიელ ბოკუჩავას წალენჯიხის მონასტერში, ოდიშს, 1667 წ. (დასაბამით-განი 7175 ბერძნული სათვალავით არის აღებული: 7175—5508 = 1667; აქიდან —ჯუარ-ცმითვან— გამოთქმა გულისხმობს „განჯორცილებითვანს“). ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თავიდანაა, რომელიც შემდგენიარად არის წარწერალი: „კურთხევაჲ მონაზონისა ბერძნულად თქმული წმიდისა ბასილ მთავარ-ეპისკოპოსისა“ (16 წ.).

ტაბ. 106 (H 1336).—კრებული.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ორ სვეტად ნაწერი, წარმოადგენს სხვადასხვა ნაწარმოებთა კრებულს, რომელიც შედგება 190 ფურცლისაგან. მისი ზომაა 41 X X 26,8 სმ., ხოლო ნაწერისა — 32,3 X 9,5 სმ. (სვეტისა).

ხელნაწერს მოგოვება ანდერძი: „აჲა სრულ იქმნეს შესხმა ყოვლად წმიდისა ღმრთის-შშობელისა ბრძანებითა პატრონისა ჩუენისა დედოფალთ-დედოფლისა ელენესითა და ჯელითა ფრიად ცოდვილისა და უსწაველის დიდმის წმიდის გიორგის დეკანოზ ყოფილის ზებედესითა...“ (73 წ.)... „ღმერთმან უწყის, ბევრი ქაირი ვნახე ამის... ჩხრეკა-შია... აღიწერა... ფებრვალსა ივ, დღესა სამშაბათსა, ქორნიკონსა ტნჲ“ (130 წ.).

აქიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ხელნაწერი-კრებული ელენე დედოფლის დაკვეთით გადაუწერია დიდმის წმ. გიორგის დეკანოზ-ყოფილს ზებედეს 1669 წელს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იოანე მახარებლის ცხოვრებიდანაა.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა...“ (H კოლექცია)“, შედგენილი კრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, ტ. III, თბილისი, 1948 წ., გვ. 274—76.

ტაბ. 107 (H 1452).—უანჩაეთის ეამგულანი.

ხელნაწერი ეამგულანი, რომელიც ნუსხა-ხუცურით არის ქალაღზე ნაწერი, ასე იწოდება იმის გამო, რომ ის ერთ დროს უანჩაეთის ეკლესიაში იყო დაცული. იგი შედგება 577 ფურცლისაგან. ნუსხის ზომაა 24,5 X 18 სმ., ხოლო ნაწერისა—15,5 X 11,2 სმ.

ხელნაწერს მოგოვება ანდერძი: 1. „უფალო, შეიწყალე ცოდვილი ზაქარია, რომელმან ესე ეამგულანი... მოიქირვე კარგად ვაკეთება ბრძანებითა მთავარ-ეპისკოპოსისა რატიშვილის ეედემოზისადაა... ვინ მოემთხვეთ ნაჩხაბსა ამას, ქრონიკონსა ტმჲ“ (23 წ.); 2. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მთავარ-ეფისკოპოზი, რომლისა ბრძანებითა აღიწერა ეამგულანი ესე. პირველად ვიყავ უბრნელი, მერმე—მანგლელი და მერმე—მთავარ-ეფისკოპოზი ქართლისა, ქრონიკონსა ტნჲ. შე ყოვლად უღირსმა მთავარ-ეპისკოპოზმა ეედემოზ შევსწიზე საძუალესა ჩემსა კაბენის მონასტერსა...“ (339 წ.).

აქიდან ნათლად ჩანს, რომ ამ ეამგულანის დაწერის ინიციატორია ეედემოზ მთავარ-ეპისკოპოსი, რომელიც ზოგიერთ მინაწერში ასედაც იხსენიება: „გლონისთავისძე, ქნის ერისთვის ძე, უბრნელი ეედემოზ“. გულანი რამდენადაც პირის მიერ არის ნაწერი; ერთი ზემოთაც იყო აღნიშნული, სხვები თავს არ ასახელებენ. ხელნაწერი გადაწერილია 1674 წელს. მართალია, ზემოთ სხვა თარიღიც იყო აღნიშნული, მაგრამ უპირატესობა თვით ეედემოზის პირით აღნუსხულს უნდა მიეცეს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ წიგნიდან არის, რომლის ხელწარწერაა: „სხუაჲ ლოცვაჲ შუალამისაჲ, თქმული წმიდისა ბასილი კესარიელისაჲ“ (37 წ.).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა...“ (II კოლექცია)“, შედგენილი კრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, ტ. III, თბილისი, 1948 წ., გვ. 381—391.

ტაბ. 108 (H 98).—დაუჯდომელი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცური ხელით ქალაღზე შესრულებული, შედგება 87 ფურცლისაგან. მისი ზომაა 20 X 13,7 სმ., ხოლო ნაწერისა — 12,2 X 8 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „დიდება ღმერთსა... რომლისა შეწევნითა აღვაწერინე წმიდა წიგნი დაუჯდომელი მისის შედევებითა და ზიარების ლოცვანითა, შევაძვე და დაეხატინე მე, ამილახორის შვილმან კათალიკოზმან პატრონმან ნიკოლოზ, ცოლვათა ჩუნთა შესანდობლად... მეფობასა პატრონის გიორგისსა, ქრონიკონსა ტათ, ჯელოთა მიქელისათა...“ (61 რ.).

აქიდან ნათლად ჩანს, რომ დაუჯდომლად წოდებული წიგნი გადაუწერია გიორგის მეფობაში, 1681 წ., ნიკოლოზ კათალიკოზის, ამილახორის შვილის, დაეალეებით ვინმე ნიქელს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი სათაურად შემდეგ ზედწერას ატარებს: „სხუთა ლოცვაჲ ზიარებისაჲ“ (51 ვ.).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა...“ (H კოლექცია)“, ტ. I, დასაბეჭდად მომზადებული ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1946 წ., გვ. 72-73.

### ტაბ. 109 (H 108). — კრებული.

ხელნაწერი, გაკრული ნუსხა-ხეცურით ხელით შესრულებული, ნაწერია ქალაღზე. იგი შედგება 270 ფურცლისაგან. ნუსხის ზომაა 18,8 X 5,8 სმ., ხოლო ნაწერისა — 17,5 X 4,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „ესწერა ჯელითა ჩემითა წიგნსა ამას სხვათა ნამუშავეთა... აღიწერა წელსა ქრისტეს აქათ ჩღწ, 1750, ნოემბერს, კჳ, 27. შესრულდა: ვარდოვანი არს ხანიერი, უფროს შაქრისა ტკბილი, .იგემე შით, ესრეთ ფრთეს ისხამ, ხინარული შთააგდებ ვაებით იმ ლეგონს ისხერტმი“ (აკროსტიქია; ნიშნავს—ვახუშტი მეფის შვილი: 270 რ.-v.). აქიდან ირკვევა, რომ ეს წიგნი, რომელიც სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების კრებულს წარმოადგენს, გადაუწერია 1750 წლის 27.XI ვახუშტი ბატონიშვილს. ამ დროს მეფის წული ვახუშტი მოსკოვს ცხოვრობდა და, ცხადია, ამ ხელნაწერს იქ გადასწერდა.

ტაბულაზე აღბეჭდილი ორი გვერდიდან, პირველი (150 ვ.) იმ ნაწარმოებიდანაა, რომელიც ასეა დასათარებული: „სამნი ვნებანი, რომელთაგან იშობიან ყოველნი ვნებანი და ბოროტნი“ (150 რ.), ხოლო მეორეს (151 რ.), როგორც აქ მისი დასაწყისის სათაური მოწმობს, ეწოდება: „განზრახუს ლოცვათუს“. ეს თხზულებანი, როგორც მინაწერებიდან ჩანს, გამოცემულია, ე. ი. გადმოთარგმნილია, უცხო წყაროდან და „საბა-სულხან ორბელიანისაგან განსწორებული“.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა...“ (H კოლექცია)“, ტ. I, დასაბეჭდად მომზადებული ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1946 წ., გვ. 84-86.

### ტაბ. 110 (H 972). — კრებული.

ხელნაწერი-კრებული, ნუსხა-ხეცურით ქალაღზე ნაწერი, შედგება 531 ფურცლისაგან. მისი ზომაა 19,3 X 14 სმ., ხოლო ნაწერისა — 16,2 X 11,5 სმ.

კრებული გადაწერილია რამდენიმე პირის მიერ. ტაბულაზე აღბეჭდილი პირველი ნიმუში, რომელიც წმ. იაკობ სპარსელის წამების წიგნიდანაა, ეკუთვნის, როგორც მასზევე აღნიშნული, იესე ბედისმწერლისშვილს, მეორე კი (აქვე ტაბულაზე წარმოდგენილი), მასზე დართული ანდერძის თანახმად, გადაუწერია კერძოდიაკონს ოსეს ძეს იესეს, რომელსაც ის დაუთმავრებია 1741 წელს. — „აღმწერელი ამისი ცოდვილი კერძოდიაკონი ოსეს ძე იესე ვმადლობ უფალსა. აღმწერინა ყოვლად ღირსმან ამილახორის ძემან ტფილელ ზიტროპოლიტ-პისიკოპოსმან ათანასიმ... ქრისტეს აქათ ჩღწა“. ოსეს ძის იესეს გადაწერის ამ ნაწილს სათაურად აქვს: „თუესა იანუარსა კჳ, წმიდისა მღელ-მოწამისა კლიმი ანკვირილისა, რომელი იქმან ვ[ა]ხად სიწმინდისა განსახლავათა“ (422 რ.).



**ტაბ. 111 (H 1781).—სახუთების კრებული.**

ხელნაწერი, რომელიც სიველ-გუჯარების კრებულს წარმოადგენს, ნაწერია ნუსხა-ხუცურით ქალაღღზე. შედგება 43 ფურცლისაგან. მისი ზომაა 23,2 X 17 სმ., ხოლო ნაწერისა — 16,7 X 12,2 სმ.

ხელნაწერს მოეპოება ანდერძი: „...ჩვენ, ყოვლად სამღუდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს, განვიხილე ჩვენის ეკლესიის კაცის ძეგლნი და ახალნი გუჯარნი, რომელნიცა მოიღო ჩვენდამო არხიმანდრიტმან კაცისამან პეტრე და ფრიად გვევდღრა განახლებად დაძველებულთა მათ შეწირულთა გუჯართა, და ჩვენცა ვინებეთ. და ჩვენს არხიდაკონს ოსეს გაბაონს უბრძანეთ და სწორედ იმ ძველ გუჯარებზე გარდამოვალებინე და ხუცურად ახლად აღვაწერინე... და ჩვენის ბეკლით დაეპეკდეთ... განვაახლე ფამსა უმაღლესისა მეფისა ჩვენისასა სოლომონ მეორისასა, არჩილის ძისათა, თთვესა აპრილსა კ; განჯორციელებითგან სიტყუსა ღმრთისა ჩღუჴ“.

ამრიგად, გელათელი მიტროპოლიტის დოსითეოსის დაელებით ეს ხელნაწერი გადაუწერია ოსე გაბაონს 1797 წლის 20 აპრილს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტის შემცველი გუჯარის სათაურია: „აბულახსარის შეწირული ქუემო მოღებაძენი და შემდგომი საყდრეღნი და საყურწეღნი“.

**ტაბ. 112 (Ald 14).—ბაგრატ IV-ის შეწირულობის წიგნი.**

ბაგრატ IV-ის შეწირულობის ეს წიგნი, დაწერილი მხედრულით ეტრატზე, მიცემულია შიომღვიმის მონასტრისადმი. ზომა ღედნის იმ ნაწილისა, რომელიც ტაბულაზეა ასახული, შემდეგია: 37 X 27(23,4) სმ.

შეწირულობის წიგნს მოეპოება თარიღი: „...დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონს მეფობისა ჩემისასა მეო-ლა-სა, კელითა იოვანე მწიგნობრისა მწერლისაითა“; მასასადამე, იოანე მწიგნობარს ბაგრატ მეფის ეს სიგელი დაუწერია (1027+31) 1058 წელს.

ამ წიგნის აღწერილობისა და ტექსტისათვის იხ. თ. ქორდანიას „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“... თბილისი, 1896 წ., გვ. 3-7.

**ტაბ. 113 (Sd 1201).—ბაგრატ IV-ის სიგელი.**

ბაგრატ IV-ის ეს სიგელი, დაწერილი მხედრულით ეტრატზე, წარმოადგენს სამეფო საბჭოს განაჩენს იმ ღავის შესახებ, რომელიც ამტღადრა აღგიღებისათვის ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრებს შორის. ზომა ღედნის იმ ნაწილისა, რომელიც ტაბულაზეა ასახული, შემდეგია: 34,5 X 28,5 (24) სმ.

სიგლის ბოლოს მოსალოდნელი იყო დაწერილი იქნებოღა თარიღი, მაგრამ სიგელს ბოლო აკლია და სხვა ნიშნების (მეფისა და უფლისწულის წოდებულობის მოხსენების) მიხედვით მას აკად. ივ. ჯავახიშვილი 1060/65 წლით ათარიღებს (იხ. მისი „ქართული დამწერლობათა-მკოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, 2 გამოცემა, თბილისი, 1949 წ., გვ. 178—179).

ამ სიგლის პირი ლითოჯრაფიული წესით გამოცემული აქვს აკად. გ. თაყაიშვილს: „პალეოგრაფიული აღბომი“ I. ასაქრთუღლოს სიძველეთა დამატება, თბილისი, 1909 წ.; ტექსტისა და აღწერილობისათვის იხ. მისივე რედაქტორობით გამოცემული ასაქრთუღლოს სიძველენი, ტ. II, თბილისი, 1909 წ., გვ. 1—5.

**ტაბ. 114 (Hid 1351).—გიორგი III-ის სიგელი.**

გიორგი III-ის სიგელი, დაწერილი მხედრულით ეტრატზე, ბომებულია შიომღვიმის მონასტრისადმი. ზომა ღედნის იმ ნაწილისა, რომელიც ტაბულაზეა ასახული, შემდეგია: 30,5 X 21,8 (19) სმ.

